პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 111 (20452) — კვირა, 14 მაისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ᲙᲣᲗᲮᲓᲔᲓᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲠᲘᲢᲛᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალური ქმედების დაჩქარებები

ნებისმიერი დადგენილება შესრულებით ფასობს

გარდაქმნის გაღრმავებისა და საჭიროების გაფართოების პროცესს თან ახლავს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და სტილის არსებითი ცვლილება, რაც უპირველესად გამოიხატება სიტყვისა და საქმის ერთიანობის განმტკიცებით, ყველა სამოქმედო უბანზე ხელშესახებ შედეგების მოპოვებით, მართვის მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მეთოდების ერთხელ და სამუდამოდ უკუგდებით. იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც ახლა დასახულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და უკავშირდება მეშმარიტად რევოლუციურ განახლებას, შეუძლებელია მაღალორგანიზებული, ყოველმხრივ გამიზნული და დასაბუთებული შემოქმედებითი შრომის, ნამდვილი შემართებისა და აღმფრენის გარეშე. ეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვს ვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე კონკრეტული და მიზანდასახული პროგრამის შემუშავებასა და პრაქტიკაში უცილობელ განხორციელებას.

ჩვენს სინამდვილეში განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ამის საჭიროება დღეს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. 9 აპრილის ტრაგედიამ, რომელიც საბოლოო დასკვნისათვის ერთმანეთის საპირისპირო მრავალი გარემოების ღრმა გაანალიზებას მოითხოვს, უკვე ღრმად დაგვარწმუნა, რომ გაჩნდა ბზარი, ერთი მხრივ, რესუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობასა და, მეორე მხრივ, მოსახლეობას, საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილს შორის. მასებისაგან დაშორებას უპირველესად იწვევს სწორედ სიტყვისა და საქმის გათიშვა, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი პროცესების უმართობა, ფაქტიური უმოქმედობა. პირველ რიგში ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელს, ყველა პარტიულ კომიტეტსა და პირველადს ორგანიზაციას, თითოეულ კომუნისტს.

სწორედ ამიტომ აუცილებელია ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმების ახალი შინაარსით შევსება. კერძოდ, ეს ეხება მიღებულ დადგენილებათა შესრულების კონტროლს, მთელი პარტიული საქმიანობის ისე წარმართვას, რომ იგი უშუალოდ უკავშირდებოდეს მომწიფებული პრობლემების გადაჭრას, საზოგადოებრიობის ყველა ჯგუფისა და ფენის სამართლიან მოთხოვნათა გათვალისწინებას.

ისიც უურადსაღებია, რომ გადაწყვეტილებას თავისთავად არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ზებუნებრივი ძალა, იგი რეალურ იერსახეს იძენს ადამიანთა მოქმედების, მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობათა გონივრული გამოყენების მეობებით.

ახლა ნამდვილად რევოლუციური გარდაქმნის ხანა დადგა აგრარულ სექტორში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმმა ამ მხრივ ნათლად გამოკვეთა სამომავლო ამოცანები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება სოფლად საზოგადოებრივ ურთიერთობათა შეცვლას, მეურნეობრიობის მკვეთრ ზრდას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, გულისხმობს ნებისმიერ დარგში ვითარების ღრმა ანალიზს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებასა და ცხოვრებაში განხორციელებას. დიახ, ახლა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს რეალური ქმედება, რადგანაც ადამიანები პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რამდენი კრება და სხდომა მოიწვიეს მათ, რამდენი გადაწყვეტილება მიიღეს ამა თუ იმ საკითხზე, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ წყდება სასურსათო პრობლემა, რა იყიდება დახლებსა და მაღაზიებში, როგორ უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამგვარი ბარომეტრებით მთელი გაწეული საქმიანობის შეფასების მნიშვნელობა განსაკუთრებით ჩანს ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებათა ფონზე და ამიტომაც ჩამორჩენას, მაჩვენებელთა გაუარესებას ვერ შეურიგდებით.

არადა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრგან ძველ ყაიდაზე მუშაობას ამჯობინებენ, გაუთავებლად ლაპარაკობენ და ცოტას აკეთებენ. მაგალითად, გარდაბნის რაიონის გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე გასული წლის შემოდგომაზე გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დაბეჯითებით ემსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორ დაეძლიათ ჩამორჩენა და რამდენიმე წლის დაგვიანებით მაინც მიედწიათ ფაბრიკას საპროექტო სიმძლავრისათვის. ამ სხვა დროსაც მიიღეს დადგენილება ამ საკითხზე, მაგრამ ყველა მათგანი ფარატინა ქაღალდად დარჩა. ამის შედეგია, რომ ფაბრიკაში ძვრება არ იგრძნობა, კოლექტივმა თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას მომდინარე წლის პირველ კვარტალში დიდძალი ხორცი და კვერცხი დააკლო.

დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზეც ბევრი ილაპარაკეს ეკონომიკის ამაღლების საკითხებზე, მაგრამ შედეგი არ ჩანს. მეურნეობა წლობით ჩამორჩენილია, შარშანდელი წელიც დიდი წაგებით დაამთავრა. აქ სახოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავალი მოჰყავთ. მცირეა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ძვრები არც წელს იგრძნობა. არადა, ასეთი მუშაობა არას არგებთ, თანამედროვე თვითდაფინანსებისა და თვითგანაზღაურების პირობებში ხომ ვეღარ აწარმოებენ ანგარიშსწორებას მშრომელებთან, ბანკისგან კი კრედიტს ძველებურად როდი მიიღებენ.

ზოგან კვლავ არ იგრძნობა საჭირო გარდატეხა საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის სასარგებლოდ. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის შვენახვეობის საბჭოთა მეურნეობაში გასულ წელს, გარდა მარცვლეულისა, არც ერთ სახეობაში არ შესრულდა პროდუქტების წარმოების გეგმა. საგანგაშო ისაა, რომ ყურძენი დაგეგმილის მხოლოდ 26 პროცენტი მიიღეს. პარტიული კომიტეტის სხდომებსა და პარტიულ კრებებზე, მართალია, მსჯელობენ მევენახეობის განვითარების, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებზე, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ განხილვას, როცა რეალური შედეგი არ ჩანს? ეს იმითაა განპირობებული, რომ მიღებული დადგენილებები, როგორც წესი, ზოგადია, კონკრეტულად არავის არაფერს ავალებს, განსაზღვრული არ არის შესრულების ვადები და ამიტომაც მათი შესრულების კონტროლიც ფორმალურია. პარტიული კომიტეტი და მისი მდივანი გ. ბურჭანაძე ურიგდებიან იმას, რომ ბრიგადირები გივი და სოლომონ კევლიშვილები, აგრონომი ს. ხოსიტაშვილი, მთავარი ზოოტექნიკოსი გ. კაკუტაშვილი, საშუალო რგოლის სხვა ხელმძღვანელები არ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობასა და პასუხისმგებლობას, ბოლომდე არ მიჰყავთ დაწყებული საქმე, ვერ ასრულებენ კომუნისტის ავანგარდულ როლს. ასევე ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საკუთარი და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებას სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბრის“ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა. ამას შედეგად მოჰყვა სახოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი შემცირება. შარშან, მაგალითად, მევენახეებმა გეგმა 60 პროცენტითაც კი ვერ შეასრულეს, სახელმწიფოს დააკლეს 840 ტონამდე ყურძენი. სამართლიანობა მოითხოვს აქვე შევნიშნოთ, რომ პარტიის გურჯაანის რაიკომს შეუმჩნეველი არ რჩება პირველადს პარტორგანიზაციებსა და პარტიულ კომიტეტებში ამ მხრივ არსებული ვითარება, სახავს ღონისძიებებს ორგანიზატორული მუშაობის ამ მთავარი ღერძის გამართული მოქმედებისათვის. კერძოდ, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მიუთითა კაკაბეთის კოლმეურნეობის პარტიულ კომიტეტსა და მის მდივანს გ. დაბახიშვილს, რომ იქ შექმნილი არ არის მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მკაცრი პარტიული მომთხოვნელობის ატმოსფერო, მაგრამ ადგილებზე მოუქნელი მუშაობის გამო საქმე ნელა სწორდება და ამჯერადაც დაგვჭირდება იმ უცილობელი ჭეშმარიტების კვლავ შეხსენება, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ პრაქტიკული შედეგით ფასობს.

კანონსაადგილო პატივისცემა, მისი შესრულების ყველგან და ყველაფერში უზრუნველყოფა გადამწყვეტი ფაქტორია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე. არც ის იწვევს ეჭვს, რომ დღეს პარტიულ ორგანიზაციებს განსაკუთრებით მოეთხოვებათ ამ საკითხებზე უურადღების გამახვილება, ორგანიზატორული მუშაობის ყველა ფორმის მოხერხებულად გამოყენება მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. სამწუხაროდ, ეს მოთხოვნა ყველგან როდი ესმით მთელი სიგრძე-სიგანითა და პრინციპულობით. მაგალითად, დმანისის რაიონის მუღალლოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის კრებაზე იმსჯელეს წესრიგის განმტკიცებისათვის, დადგენილებაც მიიღეს, მაგრამ არავის გახსენებია მისი შესრულების შემოწმება. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ საბჭოს ტერიტორიაზე, როგორც ეს ამასწინათ პარტიის რაიკომის ბიუროზეც აღინიშნა, შეიქმნა მეტად არასასურველი მდგომარეობა, გამოვლინდა სოციალისტური კონნიერების რიგი სერიოზული დარღვევები, კერძოდ, მოქალაქეთა ჩაწერისა და ამოწერის დროს. 1986-1988 წლებში საპასპორტო რეჟიმის უხეში დარღვევით საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, კომუნისტმა მ. ოთაროვმა პირადი თაოსნობითა და ნება-სურვილით 9 კაცი ჩაწერა. სერიოზული დარღვევებია მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შშენებლობის საკითხებში: უკანონოდ აშენდა 9 სახლი, გამოვლინდა 9 ჰექტარი მიწის ფართობის მიტაცების ფაქტები. ყოველივე ეს ხდება, როგორც იტყვიან, დღისით — მზისით, ტერატორიული პარტორგანიზაციის მდივანი თ. თამაზაშვილი კი ამას გულარხეინად შესცქერის, არ იღებს ქმედით ზომებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის, უკანონობათა აღკვეთისათვის.

მრავალი სხვა ფაქტი მოწმობს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, მათი აქტუალურობისა და მიზანშეწონილობის მიუხედავად, მხოლოდ ქაღალდზე რჩება, სასიკეთოდ არ მოქმედებს ცხოვრების შეცვლაზე. ასეთი დადგენილება კი არავის სჭირდება, მხოლოდ მოჩვენებითობა და ფუჭსიტყვაობაა, იმ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის აშკარა გამოვლინებაა, რომელიც სამართლიანად დაგმო სკკპ XXVII ყრილობამ, პარტიის XIX საკავშირო კონფერენციამ.

ამგვარი გულგრილობა და ზერელობა ყოვლად გაუმართლებელია დემოკრატიულობის გაღრმავების პირობებში. საჭაროობისა და გულახდილობის ატმოსფერო წარმოშობს ახალ მოვლენებს, ადამიანებს უნვითარდებათ ქვეყნის ბატონ-პატრონის კანონიერი და სათუთი გრძნობა, ისინი გაბედულად აყენებენ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეროვნულ ყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს, თავისუფლად მსჯელობენ მათი მოგვარების გზებსა და საშუალებებზე, აყენებენ საკუთარ წინადადებებს. ყველაფერს ამას სჭირდება საფუძვლიანი გაანალიზება და განზოგადება, რაც მთავარია, პრაქტიკული გადაწყვეტა. მხოლოდ ამის მიხედვით იმსჯელებენ ჩვენზე ადამიანები, მხოლოდ ამით შეგვაფასებენ.

მაშ, გავუფრთხილდეთ პარტიულ ავტორიტეტს, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ რეალურად წყდებოდეს გარდაქმნის გაღრმავებასთან, ადამიანის შრომასა და ყოფაცხოვრებასთან, მის ბედთან დაკავშირებული საკითხები, ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდეს ნამდვილი წინსვლა. მაშინ, რაღა თქმა უნდა, ნაკლებად გვექნება ლაპარაკი მწარე გაკვეთილებსა და შეცდომებზე, მოვიპოვებთ ნამდვილ სახალხო ნდობას, ურომლისოდაც უბრალოდ არა გვაქვს არსებობის უფლება.

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ — ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲠᲘ�გᲔᲑᲨᲘ

„**რუსთავის** „აზოტის“ საწარმოო გაერთიანება არცთუ ისე დიდი ხნის წინათ არა მარტო რესპუბლიკის, ქალაქის მასშტაბითაც ერთ-ერთი ჩამორჩენილი და ზარალიანი საწარმო იყო. გარდაქმნისათვის გაწეულმა ნაყოფიერმა მუშაობამ, გარჯისა და მატერიალური წახალისების პროგრესული ფორმების დანერგვამ მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესა.

ამის დამადასტურებელია წლევანდელ ოთხ თვეში მოპოვებული მაჩვენებლებიც. გაერთიანების მშრომელებმა, გარდა იმისა, რომ პირველი კვარტალის შედეგებით გაიმარჯვეს დარგის მასშტაბით გაშლილ საკავშირო შეჯიბრებაში და გარდამავალი დროშაც დაიმსახურეს, ამ დროის მანძილზე გადაჭარბებით შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და ხარისხისნიშნიანი ნაწარმის დამზადების სახელმწიფო დავალებები, გამოშვებულია ასობით ტონა სხვადასხვა სახეობის ზეგგმოვანი ნაწარმი. სეზონმეკრულებო მიწოდების ვალდებულებები შესრულებულია 100 პროცენტით, სახალხო მოხმარების საქონლის დამზადების გეგმა — 128, ფასიანი მომსახურებისა — 108 პროცენტით და სხვა. თუმცა გაერთიანების მშრომელთა გამართულ მუშაობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ მათ ოთხ თვეში დაახლოებით 1,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საწარმოში ამ ბოლო ხანს ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით შეაჩერეს ამონიუმის ბისულფატის, აზოტმჟავის, ამონიუმის გვარჯილის და სხვა საამქროთა მუშაობა, რომლებიც ძალზე აჭუჭყიანებდნენ ატმოსფეროს.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დასახული 120 ღონისძიებიდან 94 უკვე განხორციელებულია. დანარჩენი სამუშაოებიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სწორედ ამის მეოხებით მოხერხდა ისეთი ზეგეგმითი სამუშაოების შესრულება, როგორიცაა საქვაბე საამქროებისა და ნავთობპროდუქტების დამჭერების რეკონსტრუქცია, ჰიდროქსილამინოსულფატის საამქროებში ნეიტრალიზატორის ამოქმედება და სხვ. საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომის პირობები.

აღსანიშნავია ის, რომ საწარმოო პროცესების სრულყოფის პარალელურად აქ ჯეროვანი ყურადღება იქცევა სოციალური სფეროს საკითხების მოგვარებასაც. საწარმოში მალე გაიხსნება საფირმო მაღაზია, რომელიც მომარაგდება როგორც სამრეწველო, ისე სასურსათო საქონლითაც. სინთეზ-3 საამქროში მოეწყო ფიზიკური განტვირთვის ოთახი და სხვ.

* * *



სურათებზე: ელექტროლიტის მომზადებული საამქროს მოწინავენი (წინა პლანზე — მარცხნიდან): მეპარატიები გ. მებონია და ო. კულიჯანოვა, საამქროს უფროსი ს. გობეჯიშვილი; (უკანა პლანზე — მარცხნიდან): ცვლის უფროსი დ. გელაშვილი, ზეინკალი ფ. მამედოვი, მეპარატე რ. კობახიძე და ზეინკალი დ. ხარატიშვილი; ნედლი ლაქტამის საამქროს მოწინავენი (მარცხნიდან) ცვლის უფროსი ი. ნაჟუღია, საამქროს უფროსის მოადგილე ი. თათეიშვილი, მეპარატეები ლ. წულაია და ხ. ბიგანიშვილი; ნედლი ლაქტამის საამქროს ხედი.

თეიდო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.



საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

13 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა მიმდინარე წლის პირველ აპრილს გაგრის ზონაში, გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში ორ ავტობუსზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით. ამ ავტობუსებით მგზავრობდნენ დაბა ლესელიძეში გამართული უსანქციო მიტინგის მონაწილენი, აგრეთვე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტები და მასწავლებლები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მიტინგთან.

ბიუროს აღინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა ამ ფაქტის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად, აგრეთვე ის, რომ არასაკმარისი მუშაობა იყო გაწეული მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებისა და დროული აღკვეთისათვის.

საოლქო კომიტეტის ბიურომ ავტონომიურ რესპუბლიკაში მართლწესრიგის განსამტკიცებლად არასათანადო ხელმძღვანელობისათვის სამუშაოდან გაათავისუფლა გუდაუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი ვ. არლანი; დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეების ი. ნარმანიასა და ა. ანთელავას თხოვნა, შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით გადადგომის შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს მ. ა. ჩულკოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. სასტიკი საყვედური საადრეცხვო ბარათში შეტანით გამოეცხადა გაგრის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსს რ. გოგიას. მკაცრად მეეთითა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს დ. სილაგაძეს.

ბიურომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდაცვით ორგანოებს მოსთხოვა, ყველა ზომა მიიღონ, რათა უმოკლეს დროში გამოავლინონ და დასაჯონ ჩადენილი დანაშაულის ყველა მონაწილე.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე და სსრ კავშირის პროკურატურის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსი პროკურორი ი. პ. ეფიმოვი.

— გვაღვაა, გადავარჩინოთ მოსავალი! —

თითქოს სულ ახლახან, შარშანდელ მკათათვეში, წითელწყაროელმა მემანდვრეებმა პურიუელის მანამდე არნახული მოსავალი მოიწიეს: და სახელმწიფოს ბელელში 90 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული მიიტანეს. წლეულს კი პრაქტიკულად ერთ კილოგრამ მოსავლასაც ვერ მიიღებენ.

შარშანვე მოვლენები ისე განვითარდა, რომ წლევანდელი მოსავალის ბედი უკეთმართად წავიდა. ჯერ კიდევ შემოდგომაზე, როცა ნიადაგს ტენი უნდა მიეღო, ცოდან ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა. მერე უთოვლო ზამთარი დაიჭირა „შირაქსა“ და „ტარიბანაზე“. ახლაც — გაზაფხული იწურება, ნამი კი ჯერაც არსად ჩანს. ისიც გავიხსენოთ, რომ წარსულ ზამთარში წითელწყაროელთა მინდვრებზე შტორმული ქარები დათარეშობდა. ერთიმეორეში აირია ქვისგან გადაეული სახნავი ფენა და საშემოდგომოდ დათესილი მარცვლეული. ერთი სიტყვით, დათესილი განიავდა.

წითელწყაროელი მეურნეები ცას დღესაც სასოებით შეჰყურებენ. არადა, წლის მოსავლის ბედ უკვე გადაწყვეტილია. თანაც სამწუხაროდ, ისე, რომ წელს პურეულს კი არა, ნამყასაც ვერ აიღებენ და საშემოდგომოდ თესლი აქვთ საძებნელი.

ასეთი მდგომარეობა ცუდ დაღს დასვამს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ. გვალვამ მთლიანად გაანადგურა საშემოდგომო თივთივიანები 20 352 ჰექტარზე. გარდა ამისა გაჩანაგდა 400 ჰექტარი რაფსის, 2300 ჰექტარი მრავალწლიანი და 1400 ჰექტარი ერთწლიანი ბალახების ნათესები.

ის 4900 ჰექტარი ფართობი, რომელზეც საშემოდგომო ნათესები მთლიანად განადგურდა, ადრე გაზაფხულზე გადაიხნა და სიმინდით, შვრიითა და სუდანურით, გადაითესა. მაგრამ რაკი ნალექი არსად გამოჩნდა, ეს შრომაც წყალში ჩაიყარა: დათესილი არ აღმოცენებულა. ამჟამადაც 4000 ჰექტარი გაჩანაგებული ფართობი კვლავ მომზადებულია და ნალექს ელოდებიან, რომ სიმინდი და სუდანურა დათესონ. როგორც ვხედავთ, წითელწყაროელი მშრომელების მთელი მოწმენიტა იქითკენ არის მიმართული, რომ ზამთარში პირუტყვი ფიზიკურად გადარჩეს. რაც შეეხება მის პროდუქტიულობას, სამწუხაროდ, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შარშანდელთან შედარებით შემცირებულია ყოველდღიური წველადობა.

რა კეთდება მდგომარეობის შეძლებისდაგვარად გამოსწორებისათვის?

გარდა იმისა, რომ გაჩანაგებული ათასობით ჰექტარი გადაითესა, ამგვარი საქმე კეთდება, უფრო მეტი მილიონების უკუგება უნდა მივიღოთ. ეს ალბათ ასეც იქნება, თუ დეფიქტებს დროზე გამოვასწორებთ (ამასაც დამატებით უნდა თანხები) და სარწყავ ქსელს გონივრულად გამოვიყენებთ. დღეს კი საქმეში გონიერებას ვერ ვხედავთ.

ჯერ ერთი, 600 კილომეტრზე დაქსელილი წყალსადენის 2000 ურდულის, მეტად რთული ტუმბოდანადგარების კასკადის, სარწყავი სისტემის შიდა ქსელის სირთულის გამო გაძნელებულია ექსპლოატაცია და, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, კოლმეურნეობას არ გააჩნია არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არც შესაბამისი სპეციალისტები, რომ საქმეს კარგად მიხედოს. მუშაობისას ხშირია ავარიები, თუჯის მიღების ურდულები ვერ უძლებს მაღალ წნევას. წყალი უმიზნოდ იკარგება. ისიც სათქმელია, რომ დაზიანების სალიკვიდაციოდ მობილიზებულია „იორწყალმშენის“ ტრესტის მთელი სამსახური, მაგრამ ამ სახით „დილიჩის“ სარწყავი სისტემის მუშაობა შეუძლებელია, საჭიროა სპეციალური სამმართველოს შექმნა. ამის აუცილებლობას ისიც მოითხოვს, რომ რაიონში არსებული საექსპლოატაციო სამმართველო ოთხ, ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ ზონას ემსახურება და, რაც მთავარია, ყველგან რთული სოსტემებია სამართავი. ავარიისას ფიზიკურად შეუძლებელი ხდება ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება...

ახლა ზვრებში ქუდზე კაცია გასული. ყველგან, სადაც არის გამართული სარწყავი ქსელი, ზვრები გამუდმებით ირწყვება. ურწყავში კი ნიადაგს აფხვიერებენ და სარეველას არ აპკრეფენენ.

თავთავიანების მოსავალი დაიღუპა. ახლა მთავარია ყურძნის გადარჩენილი მოსავლის შენარჩუნება.

გვალვისგან გამოწვეულმა ზარალმა წითელწყაროს რაიონში უკვე 26 მილიონ მანეთს გადააჭარბა. უნდა გავაგრძელეთ, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ეს ზარალი ხომ მარტო რაიონს კი არა, რესპუბლიკის ეკონომიკაზეც ცუდად იმოქმედებს.

ჯემალ ჟურჩული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲥᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲡ

გავიხსენოთ, რომ წარსულ ზამთარში წითელწყაროელთა მინდვრებზე შტორმული ქარები დათარეშობდა. ერთიმეორეში აირია ქვისგან გადაეული სახნავი ფენა და საშემოდგომოდ დათესილი მარცვლეული. ერთი სიტყვით, დათესილი განიავდა.

წითელწყაროელი მეურნეები ცას დღესაც სასოებით შეჰყურებენ. არადა, წლის მოსავლის ბედ უკვე გადაწყვეტილია. თანაც სამწუხაროდ, ისე, რომ წელს პურეულს კი არა, ნამყასაც ვერ აიღებენ და საშემოდგომოდ თესლი აქვთ საძებნელი.

ასეთი მდგომარეობა ცუდ დაღს დასვამს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ. გვალვამ მთლიანად გაანადგურა საშემოდგომო თივთივიანები 20 352 ჰექტარზე. გარდა ამისა გაჩანაგდა 400 ჰექტარი რაფსის, 2300 ჰექტარი მრავალწლიანი და 1400 ჰექტარი ერთწლიანი ბალახების ნათესები.

ის 4900 ჰექტარი ფართობი, რომელზეც საშემოდგომო ნათესები მთლიანად განადგურდა, ადრე გაზაფხულზე გადაიხნა და სიმინდით, შვრიითა და სუდანურით, გადაითესა. მაგრამ რაკი ნალექი არსად გამოჩნდა, ეს შრომაც წყალში ჩაიყარა: დათესილი არ აღმოცენებულა. ამჟამადაც 4000 ჰექტარი

.14 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲐ

კვირას, 14 მაისს საქართველოში, იაკვე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გაიმართება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა განმეორებითი არჩევნები. ჩვენს რესპუბლიკაში არჩევნები მიმდინარეობს ოთხ ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში, სადაც 26 მარტს არჩევნების დღეს ვერც ერთმა დეპუტატობის კანდიდატმა ვერ მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების საკმარისი რაოდენობა.

ქვეყნის დეპუტატთა კორპუსში წარმომადგენლობის პრეტენდენტთა შორის არიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, კომუნისტები და უპარტიოები — სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. კერძოდ, ბათუმის № 494 ლენინის საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიან აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე დურსუნ დიასამიძე, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ბრიგადირი სევერიან სიხარულიძე, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავი მოტორისტი მანანა უგრელიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვატანგ ბამიდაძე. ხულოს რაიონის სოფელ სხალთის კოლმეურნეობის მეთამბაქოე ციალა სუდარმიძე № 500 ხულოს საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატია, ზნაურის რაიონის მანქანა-ტრაქტორების პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს მექანიზატორი ლევან თედეევი კი კენჭს იყრის № 739 ზნაურის საარჩევნო ოლქში.

№ 502 შუახევის საარჩევნო ოლქში წარმოდგენილი იყო ორი დეპუტატობის კანდიდატი — შუახევის რაიონის სოფელ ბრილის კოლმეურნეობის მეთამბაქოე ნანული ზოიძე და საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ ლორთქიფანიძე. მაგრამ, გ. ლორთქიფანიძემ ამ დღეებში ითხოვა მოეხსნათ მისი კანდიდატურა და ეს გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ შექმნილ სიტუაციაში, როცა სტიქიამ ამდენი უბედურება მოუტანა მთიან აჭარას, კერძოდ, შუახევის რაიონს, მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია კონკურენცია გაუწიოს ამ მხარის მკვიდრს.

განმეორებითი არჩევნები განსაზღვრავს სსრ კავშირის ოთხ სახალხო დეპუტატს, რომლებიც ადრე არჩეულ 88 დეპუტატთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იქნებიან ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

(საქინფორმი).

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყებიან, რომ 1990 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევრების მიღება გაგრძელდება 1989 წლის 1 ოქტომბრამდე, 1990 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად — 1989 წლის 1 დეკემბრამდე.

ნამუშევრები უნდა წარმოადგინოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1989 წლის 21 მარტს დამტკიცებული პრემიების შესახებ დებულებებისა და კომიტეტების ინსტრუქციების შესაბამისად.

ნამუშევრების დასახელებასთან და გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გამო მიმართეთ:

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მისამართით — 125047, მოსკოვი, მე-3 ტვერი-იამსკაია ქუჩა, 46, ტელეფონები: 250-38-08, 250-19-47, 250-37-14;

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მისამართით — 101414, მოსკოვი, გსპ-4, ნეგლინაია ქუჩა №15, ტელეფონები: 923-44-67, 923-62-47.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞ

აჭარა: იმედის ნათელი

იმრავლონ, იმრავლონ...

წლეულს გამოცდა მოგვიწყო ბუნებამ, მაგრამ სულით არ დავ-ძაბუნებულვართ, ფეხზე დადგა სრულიად საქართველო. არ დარჩენილა რაიონი, მცირემიწიანი თუ სახნავ-საძოვრებით მდიდარი, საცხოვრებლად რომ არ იწვევდეს სტიქიისაგან სახლ-კარდანგრეულ, სასწაულით გადარჩენილ მოძმეთ — მთიანი აჭარის მკვიდრთ.

სხვა რეგიონებთან ერთად სამცხე-ჯავახეთიც ელოდება აჭარიდან მუდმივ საცხოვრებლად მომსვლელთ. ადიგენისა და ასპინძის რაიონებში უკანასკნელი ათი წელია ინტენსიურად სახლდებიან აჭარლები. ამ რაიონებში უკვე მათი ხუთასამდე ოჯახია, ააღორძინეს მივიწყებული ნასოფლარები, შეაესეს სამცხის დაცარიელებული სოფლები. დღემდე აჭარელთა სამცხეში დასახლება ჭარბი მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა და მას საზიმო ელფერად ჰქონდა. დღეს ეს ხდება ცრემლითა და მწუხარებით, გლოვის ზარის შემდეგ.

100 ოჯახს ღებულობს ახალციხის რაიონი, ახალქალაქი მზადაა მიიღოს 500 ოჯახი, ბოგდანოვკა — 200, ხოლო ასპინძის რაიონი დამატებით დაასახლებს 300-ზე მეტ ოჯახს.

აჭარელთა განსახლებისათვის შერჩეული ადგილები ახალციხეში, ასპინძაში, ასევე ბოგდანოვკასა და ახალქალაქში მეტად ხელსაყრელია მეცხოველეობის განვითარებისათვის, გამოირჩევა ნოყიერი სახნავ-სათესითა და ლამაზი სანახებით, მაღალმთიანეთის სუფთა ჰაერითა და ანკარა წყაროებით.

რამდენიმე დღეც და თავიანთ მიერვე შერჩეულ სოფლებში ჩამოვლენ სტიქიით დაზარალებულნი, მეგობრულად იცხოვრობენ და იშრომებენ ახალ მეზობლებთან ერთად. ჩვენ ისღა დაგვრჩენია ბედნიერი ახალმოსახლეობა ვუსურვოთ მათ წინაპაპთა სისხლით გაპოხიერებულ სამცხე-ჯავახეთის მიწაზე, რომელიც ქართველს ფეხთაგან არასოდეს გამოსცლია.

იმრავლონ, იმრავლონ!

(„კომ“. კორ.).



ახალ ფუძეზე დამკვიდრდნენ

მთიან აჭარაში დატრიალებული სტიქიური უბედურება მთელმა საქართველომ გაითავისა. დაზარალებულთ დახმარების ხელი არ აკლიათ. რესპუბლიკის რაიონებში უკვე დაიწყო საშიში ზონებიდან გახუნულთა ჩასახლება. თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში 800 აჭარელის ოჯახი დაბინავდება: 100 თვით რაიონულ ცენტრში, 100-100 — სოფლებში სამღერეთსა და შეხვეტილაში. მათთვის ორსართულიანი კაპიტალური სახლები აიგება. ამ საქმეში, როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იცით, ხელშესახებ წვლილს შეიტანს თბილისის ლენინის რაიონი.

დღეისათვის თეთრ წყაროში უკვე დაიდო ბინა სოფელ ძირკვაძეებიდან და ოქტომბრიდან გადმოსულმა აბულაძეების ორმა ოჯახმა. გარისის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობამ მათ დროებით საცხოვრებლად დაუთმო ერთსართულიანი სახლი, გამოუყო საკარმიდამო ნაკვეთი.

სურათზე: ედნერ და ლალი აბულაძეების ოჯახი ახალ სამკვიდრებელში.

თეიდო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.

სტიქია და ადამიანები

მუშაობენ უსასყიდლოდ

ბათუმი, 12 მაისი. (საქინფორმი). სტიქია ჯერ კიდევ ბატონობს მთიან აჭარაში. დაიღუპა კიდევ ერთი კაცი. აბობოქრებულმა აჭარისწყალმა შეიწირა ხულოს რაიონის სოფელ ბომათრის მკვიდრი 18 წლის ბადრი ხოზრევანიძე. შუახევის რაიონის სოფელ სხეტლაში კი ახალმა მეწყერმა 15 ოჯახს მიატოვებინა სახლები. ქედის რაიონის სოფელ ხარაულას მცხოვრებლები, სადაც წარმოქმნა დიდი ნაპრალი, ელოდებიან გეოლოგების დასკვნას სოფელში მათი შემდგომი ცხოვრების შესაძლებლობის შესახებ.

სოფელ წაბლანაში ადრე დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება ძრავების გუგუნი... ახლა აქ დაახლოებით 30 ერთეული ტექნიკაა. ექსტრემალურ პირობებში მუშაობენ ბულდოზერისტები, მექანიკოვატორები, ტრაქტორისტები. ბევრ კეთილ სიტყვას ამბობენ ხელვაჩაურელი მურმან ხაჯიშვილის, შუახეველი შალვა მიქელაძის, ხულოელების ავთანდილ ხოზრევანიძისა და ნოდარ შაინიძის, ბათუმელი ნიაზ ნაკაშიძის მისამართით...

ვინ არ არის აქ. ჯემალ ალანია, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა, ჩინებულად ერკვევა ტექნიკაში. იგი თავისი შვებულების ხარჯზე მუშაობს უსასყიდლოდ. შეიტყო რა წაბლანაში მომხდარი ტრაგედიის ამბავი, დონეცკის ოლქიდან ჩამოვიდა მურმან შაინიძე. იგი სპეციალობით ელექტრიკოსია, მაგრამ ტრაქტორზე მუშაობაც ემარჯვება. წაბლანაში გრძელდება საძიებო-აღდგენითი სამუშაოები.

ამასობაში კი სულ უფრო მეტი ადამიანი გადადის ახალ ადგილებში.

— ჩვენს რაიონს გამოუყვეს 1780 ადგილი, — თქვა შუახევის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ვლადიმერ მამულაძემ. — 413 ოჯახი უკვე მოეწყო, 374 ოჯახმა იყიდა ინდივიდუალური სახლები. იმათთვის კი, ვინც სახლდება კომპაქტურად იმ ადგილებში, სადაც ჯერჯერობით არ არის საცხოვრებელი, გამოყოფილია დაახლოებით 1000 სახლი-ვაგონი და ფინური სახლები, ძირითადად, ულუკიძის, წყალტუბოს, გარდაბნისა და გორის რაიონებში.

ყითელი ჯვრის დახმარება

ზოსკოვი, 11 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთათვის დახმარების ტვირთი გაიგზავნა ამ ავტონომიური რესპუბლიკის წითელი ჯვრის კომიტეტის მისამართით. ბათუმში ჩაიტანენ თაოდგილად კარვებს, საბნებსა და ოლგინის თეთრეულს კომპაქტებს, ერთჯერად შპრიცებს, დიდძალ ტანსაცმელს მოზრდილებისა და ბავშვებისათვის. ტვირთი გამოგზავნა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა.

როგორც აქ საკდესის კორესპონდენტს აცნობეს, აჭარისათვის დახმარების ესტაფეტაში ახლა ებმებიან რესპუბლიკური და საოლქო კომიტეტები. მაგალითად, თბილისში შეიქმნა ოპერატიული შტაბი. რესპუბლიკის წითელმა ჯვარმა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად ადგილობრივ ინტერესებზე მიმეცა ლამის თითოეული უცხოელი ჟურნალისტისათვის, დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის, რადიოსათვის, გაზეთებისათვის. ჩაიწერეს ჩემი გამოსვლა ინგლისურად და ფრანგულად.

ამას გარდა, ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული იყო ჩემი ფილმების რეტროსპექტიული ჩვენება დორტმუნდში. გახსნაზე ვისარგებლე შემთხვევით და დაახლოებით ერთი საათი ვილაპარაკე საქართველოზე, ჩვენს სატკივარზე.

მთელი ამ შთაბეჭდილებებიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი: ობერჰაუზენში პარიზიდან დამირეკეს ქართველმა ემიგრანტებმა, მათი ათკაციანი ჯგუფი იყო თავმოყრილი. ცრემლმორეულმა მითხრეს, რომ მიუხედავად განცდილი ტრაგედიისა, ბედნიერები არიან იმის გამო, რომ ესმით, ხედავენ, გრძნობენ როგორი ერთიანია დღეს საქართველო. მათ მთხოვეს გადმომეცა, რომ უნდა გავიფრთხილოთ ამ ერთსულოვნებას. პირადად მეც ასეთი განწყობილება მაქვს, რომ ამ ტრაგედიამ ჩვენ განგვწმინდა და კიდევაც გაგვაერთიანა. ამიტომ, თუ დიდაქტიკად არ ჩამომართმევენ, მინდა მივმართო ჩემს თანამემამულეებს: მოვიფრთხილოთ ამ უდიდეს გრძნობას, სიყვარული თითოეულმა ჩვენთაგანმა ამ ტრაგიკულ დღეებში საქმით დაამტკიცა და ახლა ერთად, ერთმანეთის გაგებითა და ნდობით, თუ აუცილებელი იქნება, მიმტევებლობითაც, ჭეშმარიტად დემოკრატიულ საფუძველზე, მთელი ქართველი ხალხის ნების გათვალისწინებით ვაშენოთ საქართველოს მომავალი.

საუბარი ჩაიწერა

მანანა კარტოზიამ.

ეროვნული

კულტურული კონტაქტები — თანადგომის სამსახურში

რიძეს მოეწყო პრესკონფერენცია და დაწერილებით მოეთხრო განცდილი. პრესკონფერენცია, უფრო სწორედ, პრესკონფერენციები და ინტერვიუები გაიმართა და თანადგომის, ხოლიდარობის გამოხატვის ნამდვილ აპოთეოზად იქცა. ჩვენ ვთხოვეთ ქალბატონ ლანას მოეთხრო ამის შესახებ.

— ობერჰაუზენის ტრადიციულ კინოფესტივალში მონაწილეობს მთელი მსოფლიოს ყველა ღიია კინემატოგრაფიული ქვეყანა. მხოლოდ ყიურის შემადგენლობაში 11 სახელმწიფოს წარმომადგენლები ვიყავით. ამას გარდა, მოგეხსენებთ, ფესტივალზე აკრედიტებული იყვნენ ჟურნალისტები. ამიტომ 24 აპრილს კინოფესტივალის კონფერენციდარბაზში 700-800 კაცის წინაშე გამოსვლა ლამის მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკს ნიშნავდა. პრესკონფერენცია ორსაათ-ნახევარს გაგრძელდა. თავდაპირველად გავაკეთე ერთგვარი ექსკურსი საქართველოს კულტურის, ტრადიციების, ისტორიის შესახებ, ვილაპარაკე დღეს შექმნილი ექსტრემალურ სიტუაციაზე, მერე კი იყო შეკითხვები და შეკითხვები. ამ შეკითხვებმა კიდევ ერთხელ მაფიქრებინა: მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით გარკვეული საერთაშორისო რეზონანსი აქვს საქართველოს კულტურულ ცხოვრებას და თითოეული მისი დესპანი ყველაფერს აკეთებს თა-თა სახლში გამართულ პრესკონფერენციაში, რომელიც თბილისში დაგრილებულ ტრაგედიას მიეძღვნა. ყიურის თავმჯდომარის დაგვიანებამ, ბუნებრივია, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, მით უფრო, რომ დასავლეთ გერმანიის საინფორმაციო ორგანოები ინტენსიურად აშუქებდნენ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები საქართველოში.

შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან განსაკუთრებით გულითადი და გულისხმიერი გამოდგა. მათ თავად შეხთავაზეს ლანა ღოღობერიძეს მოეწყო პრესკონფერენცია და დაწერილებით მოეთხრო განცდილი. პრესკონფერენცია, უფრო სწორედ, პრესკონფერენციები და ინტერვიუები გაიმართა და თანადგომის, ხოლიდარობის გამოხატვის ნამდვილ აპოთეოზად იქცა. ჩვენ ვთხოვეთ ქალბატონ ლანას მოეთხრო ამის შესახებ.

— ობერჰაუზენის ტრადიციულ კინოფესტივალში მონაწილეობს მთელი მსოფლიოს ყველა ღიია კინემატოგრაფიული ქვეყანა. მხოლოდ ყიურის შემადგენლობაში 11 სახელმწიფოს წარმომადგენლები ვიყავით. ამას გარდა, მოგეხსენებთ, ფესტივალზე აკრედიტებული იყვნენ ჟურნალისტები. ამიტომ 24 აპრილს კინოფესტივალის კონფერენციდარბაზში 700-800 კაცის წინაშე გამოსვლა ლამის მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკს ნიშნავდა. პრესკონფერენციის შემდეგ დამატებით დამჭირდა ინტერვიუ მიმეცა ლამის თითოეული უცხოელი ჟურნალისტისათვის, დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის, რადიოსათვის, გაზეთებისათვის. ჩაიწერეს ჩემი გამოსვლა ინგლისურად და ფრანგულად.

ამას გარდა, ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული იყო ჩემი ფილმების რეტროსპექტიული ჩვენება დორტმუნდში. გახსნაზე ვისარგებლე შემთხვევით და დაახლოებით ერთი საათი ვილაპარაკე საქართველოზე, ჩვენს სატკივარზე.

მთელი ამ შთაბეჭდილებებიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი: ობერჰაუზენში პარიზიდან დამირეკეს ქართველმა ემიგრანტებმა, მათი ათკაციანი ჯგუფი იყო თავმოყრილი. ცრემლმორეულმა მითხრეს, რომ მიუხედავად განცდილი ტრაგედიისა, ბედნიერები არიან იმის გამო, რომ ესმით, ხედავენ, გრძნობენ როგორი ერთიანია დღეს საქართველო. მათ მთხოვეს გადმომეცა, რომ უნდა გავფრთხილდეთ ამ ერთსულოვნებას. პირადად მეც ასეთი განწყობილება მაქვს, რომ ამ ტრაგედიამ ჩვენ განგვწმინდა და კიდევაც გაგვაერთიანა. ამიტომ, თუ დიდაქტიკად არ ჩამომართმევენ, მინდა მივმართო ჩემს თანამემამულეებს: მოვიფრთხილოდეთ ამ უდიდეს გრძნობას, სიყვარული თითოეულმა ჩვენთაგანმა ამ ტრაგიკულ დღეებში საქმით დაამტკიცა და ახლა ერთად, ერთმანეთის გაგებითა და ნდობით, თუ აუცილებელი იქნება, მიმტევებლობითაც, ჭეშმარიტად დემოკრატიულ საფუძველზე, მთელი ქართველი ხალხის ნების გათვალისწინებით ვაშენოთ საქართველოს მომავალი.

საუბარი ჩაიწერა

მანანა კარტოზიამ.

ეროვნული

თბილისის უამრავ სადღეისო პრობლემას შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ის არის, რომ ათასი ჯურის მოძალადე მისდგომია და ღრღნის. თბილისი იზრდება რიცხობრივად და თბილისი პატარავდება ტერიტორიულად.

ჩვენი ყბადაღებული სტუმართმოყვარეობა სამიშად შემოგვიბრუნდა და დაგვემუქრა. არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქს არ მოსდებია ასე კალიასავით სტუმარი სამუდამოდ დასასახლებლად და გასათავისებლად, როგორც თბილისს, ალსად ისე იოლად, უბოდიშოდ არ იტაცებს მასპინძლის მიწას, როგორც თბილისში. ნაციონალიზმი არ დაგვაბრალონო და ვერაფერს ვეუბნებოდით მოძალადეს, არიქა „ზევით“ არ იჩივლონო და თვალს ვხუჭავდით მის პარპაშზე. მაგრამ გაჩუმება უკვე აღარ შეიძლება. ხელიდან გვეცლება ყველაზე ძვირფასი — მიწა, საფრთხეშია თბილისის, საქართველოს მომავალი.

თბილისის მოსახლეობა დღეს 1,3 მილიონამდეა, თბილისში დღეს 18 ათასამდე უკანონოდ აგებული სახლია, მიტაცებულია ათობით ჰექტარი...

სხვას ნურაფერს დავაბრალებთ. რაც გვჭირს, ჩვენითვე გვჭირს, ჩვენივე დაუდევრობით, წაყრუებით, უმოქმედობით. წლების მანძილზე თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული მიწათსარგებლობის კანონის დაცვა. ჰოდა, მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. ხელმეშვებულობას მიწის მიტაცებას, უნებართვო-უპროექტო მშენებლობას ბუმი მოჰყვა, თბილისში საცხოვრებლად მოზავადა გარეშე ხალხი. არც თუ დიდი ხნის წინათ, დედაქალაქში ხომ ყოველდღე 10 ათასამდე კაცი შემოდიოდა სამუშაოდ ახლომდებარე რაიონებიდან. იოლი იყო და იტაცებდნენ, გასდიოდათ და სახლდებოდნენ. რაიონული „აბჭოების“ აღმასკომებისა და შინაგან საქმეთა განყოფილებების წაყრუებით (სხვაგვარად ვერ მონათლავ მათს უნიათობას) ყველაფერს მშვენივრად ახერხებდნენ. ასე დაპატარავდა მიწა, რომლის თითო გოჯიც მამასისხლად გვეღირს. საიდან მოვიდნენ, ვინ ეპატრონება?

მხოლოდ კიროვის რაიონში შარშან მუშაობდა თითქმის ორი ათასი თბილისში ჩაუწერავი კაცი. მათ შორის მრავლად იყვნენ დაღესტნიდან, აზერბაიჯანიდან, გოროკიდან, ყაზანიდან, სტავროპოლიდან შემოკიდღეებულნი.

თბილისის ტბის დასახლებაში თვითნებური მშენებლობა... სახელმწიფო ტყის ფონდის ხარჯზე ხდებოდა. მიწა დაუსაკუთრებიათ და მომრავლებულან. აქ დასახლება №15-ში მცხოვრები გოიჯევებიდან და მუსტაფაევებიდან ვინ წასულა-ია ჩაწერილი, ვინ თეთრ წყაროში და ვინ გარდაბანში. ე. ბარასკევის ცხრასულიანი ოჯახი დმანისის მკვიდრია, დ. საფაროვის შვიდსულიანი ოჯახი — ყასპისა, მაგრამ მშვენივრად გრძნობენ თავს მდინარე ვერის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ბარაკებში.

საქართველო რაიონში დღეისათვის გამოვლენილ უნებართვოდ აშენებულ 108 სახლში მცხოვრებნი თბილისში არ არიან ჩაწერილები. მხოლოდ ქინძმარაულის ქუჩაზე და მე-2 ნავთლუღის დასახლებაში თვი შეუფარებია 118 ოჯახს — 494 კაცს. მათგან მხოლოდ 15-მდეა ქართველის ოჯახი.

კიროვის რაიონის დასახლება ჭალაში ამ თხუთმეტი წლის წინათ თუ 5 კანონიერი და 15 უკანონო ნაგებობა იყო, დღეს უკვე მთელი დაბა — 52 სახლი 243 მცხოვრებით, რომელთაც 19 ჰექტარი მიწა მოუტაციათ. თითქოს ეს არ ქმაროდა, ამ დასახლებაში კიდევ 2 ჰექტარს მეზობლად მდებარე გარდაბნის რაიონის სოფელ ჭალის მკვიდრნი დაპატრონებიან ბაღ-ბოსტნად.

ქალაქის ცენტრში, ვერეს სანაპიროები ნაკვეთებად დაუყვიათ, შემოუღობავთ, ზოგიერთმა კაპიტალური სახლებიც ჩაუდგამთ და ბუნს არ იფრენენ.

უნებართვო მშენებლობა მოსძალებია ბაგებს, ვეძისს...

სტუმარი მოდის და რჩება, ჩვენსას გვეცლება და ისაკუთრებს. დღეს თუ მხოლოდ ლისის ტბის დასახლებაში №15-ში 207 კაცია აღრიცხული, ხვალ 414 გახდება, ზეგ 828, მაზეგ კი მწყობრ ათასეულებად შეუტევს თბილისს. რომ გაბედო და ზოგიერთი აღმასკომის ხელმძღვანელს ჰკითხო, სად იყვნით, როგორ მიიყვანეთ საქმე აქამდეო, მიღებულ გადაწყვეტილებათა მთელ ტომებს გადმოიღებს, მაგრამ ეს გადაწყვეტილებები ყოველთვის სრულად არ ასახავს შექმნილ ვითარებას, ხშირად უბრალოდ ლიბერალურია. ჰოდა, არც შედეგი ჩანს.

საილუსტრაციოდ მაგალითებს მოვუხმობთ.

ჭალის დასახლებაში რომ გიგანტური უნებართვო მშენებლობაა გამლილი, უკვე ვთქვით. აქ ზოგს თითქმის ნახევარ-ნახევარი ჰექტარი აქვს მიტაცებული, სადაც თითოეულს 3, 4 და 6 სახლიც კი უდგას (ვ. იმან-ოღლი, ს. ბარიმოვი, ჯ. მამედ-ოღლი...). კიროვის რაისაბჭოს აღმასკომს 1986 წელს გაზაფხულზე უმსჯელია მის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობათა ფაქტებზე და ზოგიერთი თავისი მუშაკი „დაუსჯია“ კიდეც: ერთისთვის შენიშვნა მიუცია, მეორე მკაცრ დაუფრთხილებია, მესამის მიმართ კი მხედველობაში მიუღია, რომ მას უკვე ჰქონია გამოცხადებული სატკივი საყვედური. III კვარტალში კვლავ უნდა შემოწმებულიყო ჭალის დასახლება და საკითხი აღმასკომზე მოესმინათ. მართლაც მოისმინეს და... ადრინდელი გადაწყვეტილება კონტროლიდან მოხსნეს. თუმცა დარღვევები არ აღკვეთილა. როდესაც ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტმა ჭალაში საგანგაშო ვითარება გამოავლინა, აღმასკომი კვლავ მიუბრუნდა „მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევისა და ფეოდალური მშენებლობის საკითხს“. მიღებულ გადაწყვეტილებაში ამაყად არის ნათქვამი, რომ „დარღვევების შესახებ რაისაბჭოს აღმასკომმა მკაცრად იმსჯელა ჯერ კიდევ 1986 წელს. სასჯელები დაედოთ დამნაშავე პიროვნებს“. თუ რა „პრინციპულად“ ამსჯელა, ამას შედეგი ღაღადებს, რა „სასჯელებიც“ დაედოთ — ზემოთ თვითონ ვნახეთ.

საქართველო რაისაბჭოს აღმასკომმა 1984 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ქინძმარაულის ქუჩაზე არსებულ ფარდულებში 28 ოჯახის (109 კაცი) თვითნებური ჩასახლების საქმე განსახილველად გადასცა რაიონის სახალხო სასამართლოს, ამათ თავისი მისია ამოწურულად ჩათვალა და ხელი დაიბანა, კონტროლზე აღარავის უფიქრია. ჰოდა, სწორედ ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. მეკობრეთა რაოდენობა, არც მეტი და არც ნაკლები, გაორმაგდა. ამავე რაიონში 1983-1984 წლებში ნავთლუღისა და გუმათჰესის ქუჩებზე მცხოვრებ ა. კალაიჩევას, კ. ჯეირანოვის, ლ. კაიდოვის, ა. დათიაშვილის, თ. კაზიევის, ს. შურუნოვისა და დ. კინოსის ოჯახებს მისცეს სანინაო წიგნები, არც ერთ მათგანზე კი... სახლი არ იარცხებოდა. შარშან, წლის ბოლოს, საქართველო რაიონიდან საქალაქო საბჭოს იურიდიულ განყოფილებაში ვიზის მისაცემად წარადგინეს ქალაქის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტი, რომლითაც ხომალელის ქუჩაზე, იერუპოროს მე-14 დასახლებაში და მე-7 ქუჩაზე, მშობლების მიერ მიტაცებული მიწის ნაკვეთებიდან, იმავე მისამართებზე მცხოვრებ მათს შვილებს გ. იორდანოვს, ი. გეორგიანსა და რ. ბერიორიანს ცალ-ცალ სახლების ასაშენებლად უყოფდნენ 300-300 კვადრატულ მეტრ ნაკვეთებს. ვიზა რომ ვერ მიიღეს, ამ მისამართებს ორი სხვა კიდევ დაუმატეს, გვარები საერთოდ ამოიღეს და ისე წარუდგინეს განსახილველად საქალაქო საბჭოს აღმასკომს — ეშმაკი ვეღარ გაარკვევდა თუ ერთიდ ვის უწყალობებდნენ სამკვიდრებელს.

იმის თქმა როდი გვინდა, რომ აღმასკომებში და მილიციის ორგანოებში საერთოდ გულხელდაკრეფილნი ისხდნენ, მაგრამ სადღეისოდ შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა გვაიძულებს ძირითადად ნაკლზე, გაუკეთებელზე ვილაპარაკოთ. არ ქმარა მხოლოდ საქმის სასამართლოზე გადაცემა. არ შეელის თითო წლით იძულებითი მუშაობის მისჯა და უნებართვოდ აგებული სახლის კონფისკაცია (ასეთი ზომა მიუყენა, მაგალითად, კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ ჭალის ხუთ მცხოვრებს) თუ მიტაცებული მიწა და იქ წამოჭიმული ქარვასლა, თუნდაც კომუნალური უფლებით, კვლავაც მას დარჩება, ბევრი როდი იქნება ასეთი სასჯელის წინააღმდეგი. სასამართლოს ხომ იქ ხუთიდან არცერთი არ გამოუსულა ხლებია ბინიდან.

ვითარების უკიდურესი ერთგვარ ... ...

ერის ტკივილისა და განცდის დიდი მესიტყვე

თეიმურაზ I დაბადების 400 წლისთავის გამო

თეიმურაზ I ერთ-ერთი იმ მამულიშვილთაგანია, რომლის ცხოვრება თავისი ერის სიმბოლურად გამოხატულებაა, სიმბოლურია, იმიტომ ვამბობთ, რომ მისი ცხოვრების გზა, მისი ტანჯვა-ვაებით აღსავსე ბიოგრაფია მისი მშობლიური ქვეყნის ისტორიის ერთი ტიპური ფურცელია. იგი მთელი ცხოვრების გზაზე ჯვარცმული და ნაწამები იყო სპარსთაგან, როგორც მთელი მისი ქვეყანა, და ისეთივე შეუპოვარი და უდრეკი, როგორც მისივე მშობელი ხალხი. იშვიათია კაცი, რომლის შვიდი ათეული წლის სიცოცხლე ერთ გაბმულ გოდებად ქცეულიყოს: განუწყვეტელი მუქარა და დევნა, თანამემამულეთა ხოცვა-ჟლეტა და მშობლიურ სამკვიდროდან აყრა, მათს ნამოსახლარზე უცხო ტომთა ჩამოსახლება, მამისა და ბიძის მუხანათური მკვლელობა, დედის მოწამებრივი აღსასრული, ერთი მცირეწლოვანი ვაჟის, ლევანის ასევე მოწამებრივი სიკვდილი, მეორეს — ალექსანდრეს არაადამიანური ტანჯვით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობა, ხოლო ქალიშვილის, თინათინის — დახრჩობა, ბოლოს შორეულ ასტრახანდში შეურაცხმყოფელი სიკვდილი — აი ტანჯვათა ის ჯაჭვი, რომელიც სალტედ შემოერტყა მთელ მის ცხოვრებას და გასაგებიცაა მისი ამონაკვნესი „ლხინისა ნაცვლად სოფელმან სულ მატირა და მაზარა". კაცი, რომლის გოდების ხმა დღემდე აღწევს და გვზარავს, რომელიც იობისებური გამძლეობით შემოგვრივის „ცული სავსე მაქვს ლახვრითა"; ამ კაცს ეყო ენერგია და გამძლეობა წინააღმდეგობის გაწევისა, მტერთა მიმართ ურრობისა. განსაცვიფრებლად უდრეკი ხასიათის თეიმურაზი თავისი უაღრესად სწორხაზობრივი მოქმედებით ქვეყანას ვერ შველოდა, სამაგიეროდ, გამძაფრებით აღიზიანებდა ჩვენდა ჭირად გაჩენილ შაჰ-აბასს, რომელიც თვით გვიწყობდა ათასგვარ პროვოკაციას, რათა მიზეზი და საფუძველი მისცეთ

ქართველი მეფის ხასიათის მანკიერი მხარეებიც. მასში გაერთიანებული იყო, ერთი მხრივ, ვაჟკაცობა, გულადობა, ბრძოლისუნარიანობა, შეუპოვარი და ჭეშმარიტი მამულიშვილობა და, მეორე მხრივ, ავადმყოფური ეჭვიანობა და უნდობლობა, არათანმიმდევრობა და სიტუაციაში გაურკვევლობა. თუნდაც ის რად ღირს, რომ საერთო ენა ვერ გამოძებნა და გვერდში ვერ ამოიყენა იმდროის ძლიერი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ გიორგი ნაკაძე და ზურაბ ერისთავი, ანდა უნდილაძეები — ალავერდხანი და მისი ვაჟები: იმამყულიხანი და დავუდხანი, რომელთა ხელში იყო სპარსეთის მთელი ლაშქარი. თეიმურაზის პოლიტიკურმა სიბეცემ თვით მასაც გაუმწარა სიცოცხლე და ქვეყანასაც აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა.

რამდენადაც წარუმატებელი იყო იგი სახელმწიფოებრივ გამგებლობაში, იმდენად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში. დიდი პოეტური გაქანების შემოქმედმა, ქართული სიტყვის დიდოსტატმა, საოცარი სიმძაფრით ახსნა ეპოქის ტკივილები და საკუთარი განცდები; დამაჯერებლად წარმოგვიჩინა ისტორიული სინამდვილე და თანამედროვის ფიქრთა სამყარო.

თეიმურაზ I ერთ-ერთი მესაძირკვლეა ქართული სინამდვილის ეპიკური სიდიადით წარმოჩენისა, იგი ქმნის პოემას, რომელშიც მასშტაბური გაქანებითაა მისი თანამედროვეობის მძიმე ყოფა წარმოსახული და ეს რეალისტური პასაჟები ადამიანური ტკივილების პრიზმაშია გარდატეხილი. მან მართლაც ისეთი „წიგნი დაწერა, სიმწრითა კალამ-ქაღალდი კვნესოდა". თეიმურაზ I ორი დიდი ლიტერატურული სტილის მიჯნაზე მყოფი შემოქმედია: იგი, ერთი მხრივ, ამუშავებს და აქართულებს სპარსული პოეზიის ნიმუშებს, ჩვენში ამკვიდრებს ალმოსავლურ სიუჟეტებსა და სახეებს, მეორე მხრივ, არჩილის

ლება შეიგრძნო და ამაშია მისი ვაჟკაცობა, ესაა ადამიანის სულგრძელობისა და ჭეშმარიტი ჰუმანიზმის გამოვლენა, რაც ასე იშვიათია ხოლმე თვით დიდი და ცივილიზებული ერების ცხოვრებაშიც კი. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს ფრანგებმა იმდენად შეიძულეს ყოველივე გერმანული და ავსტრიული, რომ იმათი არმიის მიღმა, მათი ერის კულტურის დანახვაც კი არ უნდოდათ; ამის გამოვლენა იყო ის საოცარი ფაქტი, რომ ორი წლის განმავლობაში პარიზში ბახისა და ბეთჰოვენის მუსიკა არ შესრულებულა, რის გამიც გაოცებული და აღშფოთებული რომენ როლანი წერდა: „ეს იგივეა, იტალიასთან ომის შემთხვევაში, ტიციანის სურათი რომ გაიტანონო ლუვრიდან". ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი კაცთმოყვარული პოზიცია სწორედ ქართული ხასიათის, ქართველი კაცის ბუნების გამოვლენის დადასტურებაა, ამან გადაგვარჩინა დღემდე და ეს გაგვიტანს ბოლომდე.

თეიმურაზ I პიროვნულად ქართული ვაჟკაცური, უდრეკი და სიცოცხლის სილაღის გამომვლენი ხასიათის საშური მაგალითია. მიუხედავად განუზომელი ავბედობისა და გამწარებული პირადი ცხოვრებისა, თეიმურაზს არასოდეს არ დაუკარგავს სიცოცხლის ხალისი; ბუნებით ლაღი, შესანიშნავი მომლხენი, მობურთალ-მოასპარეზე, მუდამ ინარჩუნებდა ყოველივე კეთილისა და ლამაზის ტრფიალების უნარს. იგი თავდავიწყებით შეჰხაროდა ბუნების მშვენიერებას და საოცარი არტისტიზმით აპაეერებს გაზაფხულსა და შემოდგომას. როგორც არისტოკრატი ესთეტი, ბუნების მშვენიერების თვალწარმტაც სურათებს შლის. წლის დროთა პერსონიფიცირება საშუალებას აძლევს, რათა წარმოაჩინოს მათი სილამაზე, ნაირფეროვნება და განუმეორებელი კოლორიტი. გაზაფხულისა და შემოდგომის შედარება პოეტს საშუალებას აძლევს მთელი სისრულით გამოავლინოს თავისი ქვეყნის მშვენიერება და დიდი სამეურნეო კულტურა, რომელიც ერის წელმაგრობისა და სიძლიერის საფუძველთა საფუძვლად მიაჩნია.

ეპოქის მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ, მშობლიური ქვეყნის გამუდმებულმა აოხრებამ და პირადმა ტანჯულმა ცხოვრებამ სასოწარკვეთამდე მაინც არ მიიყვანა პოეტი, დიდი შემოქმედებითი და მებრძოლი ტრადიციების გააზრებით იგი თავის ერსა და საკუთარ თავში პოულობს იმ შინაგან რწმენასა და ენერგიას, რომლის ძალით მტერთან დაპირისპირება და ცხოვრებასთან ჭიდილი უხსნის ქვეყნის გადარჩენის პერსპექტივას. ამიტომაც ასკეტური იდეალების საპირისპიროდ შთაგონებს თანამემამულეებს, რომ შემოქმედია „ჩვენთვის დაბადა სოფელი", ჯანსაღად და რეალისტურად იაზრებს სამყაროსთან დამოკიდებულების პრობლემას.

მახვილი ეროვნული ინტერესები და მამულიშვილური იდეალები ლაიტმოტივად გასდევს მთელ მის შემოქმედებას. ყოველი სტრიქონი პატრიოტული გზნებითაა გამსჭვალული. იგი სიამაყითა და იმედით შეჰყურებს მრავალ ბრძოლაგადატანილ გრემსა და ასევე მრავალი ძლევის მომტან თამარ მეფის ხატებას. დავით გარეჯის კედლებზე გამოსახულ თამარ მეფის ფრესკას მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხარისხში იაზრებს და აკვედრებს თავის თავსა და უსასოოდ შთენილ ქვეყანას. თამარისადმი მიძღვნილი ლირიკული ამონაკვნესი ლოცვა-საგალობელია; გრემის გმირული ისტორია შინაგან რწმენას უძლიერებს, ხოლო ისტორიის ავბედობით მიღებული დაუმსახურებელი ხვედრი: რბევა, აწიოკება, სისხლისღვრა და სპარს უზურპატორთა მიერ მოწყობილი ბავშვთა სალეწი კალოები გულს უკლავს და სასოწარკვეთილებაში აგდებს.

პოეტის პირადი ტანჯული ცხოვრება სიმბოლური გამოვლენაა ერის საერთო ცხოვრებისა იგი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, თავისი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა, მისებრ იტანჯებოდა, იბრძოდა და მისებრ იმედით შეჰყურებდა მომავალს, მაგრამ მომავლის იმედი მირაყივით იყო და ამიტომაც მის პოეზიას გამჭოლად გასდევს ღრმა შინაგანი ტკივილისა და მწუხარების განცდა. ეს განცდა ყოველი მისი სტრიქონიდან გამოსჭვივის, მაგრამ განსაკუთრებული უშუალობითა და სიმძაფრით იგი ლირიკულ შედევრში „სოფლის სამდურავში" გამოვლინდა. ამ ლექსით იგი ახალი, ლირიკული ჟანრის შემომტანია აღორძინების ეპოქაში და ნოვატორადაც გვევლინება; რაც მთავარია, პიროვნულ პრობლემაში გარდატეხით საერთო, საქვეყნო ტკივილებისა და განცდების მაუწყებელია, რითაც დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ღირსეულ წინაპრად გვესახება. ეს ლექსი „მდურვა" და „წეწუნი" როდია, იგი სოფლის არსის ანალიზის საფუძველზე აღმოცენებული ფილოსოფიური განზოგადებაა. მასში ფილოსოფიური ლირიკისათვის ნიშანდობლივი სიღრმითაა გაშუქებული ყოფიერების დაუდგომლობა და მისი დროის ისტორიულ სინამდვილესთან შერწყმული „ამაოების" მოტივი უაღრესად რეალისტურად და ეპოქის ტკივილებითაა წარმოჩენილი. „სოფლის სამდურავი" საუკუნის განცდაა, რომელშიც მთელი სისავსითა და შთამბეჭდავად აისახა პიროვნული და საზოგადო ტკივილებისა და ფიქრების ერთიანობა. თეიმურაზისთვის ბიოგრაფიული მომენტი და ისტორიული ვითარება ერთგვარი პირველსაწყისია, იმპულსის მომცემი ფაქტორია, რომელიც საოცარი უშუალობითა და ლოგიკურობით არის გადაზრდილი და განზოგადებული საყოველთაო საკაცობრიო პრობლემებში.

ერის ყოფნა-არყოფნის ურთულეს საკითხზე ფიქრში თეიმურაზს ღვთაების ყოვლისშემძლეობა და სიკეთე ევლინება ნუგეშად. ქრისტეს მოძღვრება სალბუნად ეფინება მის განანამებ სულს. ქრისტეს მოძღვრებაში პოულობს იგი ხსნასა და მომავლის რწმენას და ამიტომაც მთელი მისი ცხოვრების და შემოქმედების ამოსავალ თეზისად ჟღერს: „ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ, განვადიდოთო".

რევაზ ბარამიძე.

იაკობ გოგებაშვილის იუბილესათვის

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ემზადება გამოჩენილი პედაგოგის, ქართული პედაგოგიური მეცნიერების ფუძემდებლის, პუბლიცისტის და საბავშო მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისათვის.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, რომელიც გაისად აღინიშნება, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ეძღვნება იმ ადამიანის ხსოვნის უკვდავყოფას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მშობელი ხალხის ცხოვრებაში.

იუბილესათვის დასახულია სოფელ ვარიანში მწერლის სახლ-მუზეუმის, სოფლის ეკლესიისა და იაკობის წყაროს რეკონსტრუქცია. ქეთილმოაწყობენ სახლ-მუზეუმის ეზოსა და საკარმიდამო ტერიტორიას, სოფლის ცენტრალურ გზას. მწერლის ძველ ძეგლს სოფელში ახლით შეცვლიან. გადაწყვეტილია ქართველი ხალხის გამოჩენილ შვილს ძეგლები დაუდგან თბილისსა და გორში.

თბილისში ყიფიანის ქუჩის №10 სახლში, სადაც ცხოვრობდა მწერალი, გაიხსნება იაკობ გოგებაშვილის მუზეუმი.

შემუშავებულია საიუბილეო გამოცემათა გეგმა. გამოქვეყნდება ნარკვევები, მონოგრაფიები მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მის იუბილეს ფართოდ გააშუქებენ რესპუბლიკური პრესა, ტელევიზია და რადიო. მკითხველები მიიღებენ „დედა ენის", „რუსსკოე სლოვოს", „ბუნების „კარის" ფაქსიმილურ გამოცემებს. განზრახულია გამოუშვან იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ოცტომეული. და მისი ნაწარმოებების ხუთტომეული. საქართველოს საზღვარ ნაოსნობის ერთ-ერთ გემს დაერქმევა იაკობ ფოგებაშვილის სახელი.

ამ თარიღისათვის დაამზადებენ საიუბილეო მედალს, საფოსტო მარკებს. ქართველი კინემატოგრაფისტები შექმნიან მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც ასახავენ მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გაიმართება კონკურსი იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად.

იუბილეს აღსანიშნავად მოეწყობა გამოფენა რესპუბლიკის სახალხო განათლების მუზეუმში. დაწესდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის სტიპენდია რესპუბლიკის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

თბილისსა და გორში გაიმართება სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციები, თემატური საღამოები. საიუბილეო დღეები მოეწყობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

(საქინფორმი).

კულტურის კერები

რუსთაველი ასპინძაში...

● ეს იყო ამ სამოოდე წლის წინათ...

ყველაფერი უბრალოდ დაიწყო, მაგრამ დაიწყო გულიანად, სიხარულით, ძალდაუტანებლად. თავდაპირველად შესარჩევი ჭონდათ ადგილი და შესაფერისი შენობა-ნაგებობა. მალე გამოიძებნა კიდეც კულტურისა და დასვენების პარკში ძველი შენობა, რომლის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში რაიონის მოსახლეობამაც მიიღო მონაწილეობა. შემდეგ კი, ინტერიერისა და მოელი შენობის არქიტექტურული გაფორმებისათვის მოიწვიეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და რესპუბლიკის ტურიზმის საბჭოს სპეციალისტები.

სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრისა და ექსპოზიციების მოწყობის გეგმის შედგენაში ასპინძელებს უანგარო დახმარება გაუწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტის გამგემ, პროფესორმა ე. მენაბდემ და რესპუბლიკური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგემ ვ. ნურგეზიმემ. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დაავალა მთელი რიგი მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ალმოეჩინათ პრაქტიკული დახმარება შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმისათვის ექსპონატების შეგროვებაში.

ინიციატივის — დაბა ასპინძაში გახსნილიყო შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმი, აქტიურად გამოეხმაურნენ თბილისის სურათების გალერეა, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი...

მუზეუმის წიგნის ფონდის შექმნაში ასპინძელებს განსაკუთრებით დაეხმარნენ თბილისის საპარლმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკები. მათ მუზეუმს გადასცეს როგორც ქართულ, ასევე საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ენებზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" ეგზემპლარები, ლიტერატურა „ვეფხისტყაოსანზე" და მის ავტორზე. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან და შოთა რუსთაველის სახელობის, რესპუბლიკური ბიბლიოთეკიდან — 20, ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან — 54 დასახელების წიგნი.

მუზეუმში თავი მოიყარა ისეთმა კოლექციებმა, როგორიც არის ვ. ჩირინაშვილის გრაფიკული სერია „ამბავი შოთა რუსთაველისა", კ. იგნატოვის „დავითი" და „თამარი". სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ ავტოგრაფით მუზეუმს უსახსოვრა „ნესტანი" და სხვადასხვა ფერწერული ნამუშევარი.

მუზეუმისათვის სრულიად საქართველოს ზრუნვის ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ თბილისის სურათების გალერეამ ასპინძაში გამოგზავნა რუსთაველის ქანდაკებები და ბიუსტები, გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმმა კი—XIX საუკუნის მხატვრის ტარიელაშვილის ნამუშევარი „შოთა რუსთაველი", ამავე პერიოდის ლენინგრადში დაბეჭდილი თამარის ლინოგრავიურა და სხვა ამგვარი მნიშვნელოვანი ექსპონატები. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მუზეუმს უსახსოვრა „ოქროს ხანის" სამონასტრო კომპლექსების ფერწერული ტილოები.

უანგარო და მეტად მნიშვნელოვანი დახმარება გაიღო საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ჯუნა მიქატაძემ, რომელმაც რესტავრაცია გაუკეთა თავისსავე ნამუშევარს „შოთა რუსთაველს" და სხვადასხვა ექსპონატთ შეავსო მუზეუმის კოლექცია. აქ დაცულია მ. ბერძენიშვილის, კ. გურულის, ვ. ავალიანის, დ. ჩხეიძის და სხვა ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ უსასყიდლოდ დაბეჭდა სხვადასხვა შრიფტით ფაქიზად შესრულებული ფიდი შოთას აფორიზმებისა და გამონათქვამების საუკეთესო ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ რაიონში არ დარჩა ისეთი ადამიანი, მოსწავლე, ინტელიგენტი თუ ნებისმიერი მცხოვრები, რომელიც დიდი სიხარულითა და მოწონებით არ შეხვედრიდეს რუსთაველის „დასახლებას" ასპინძაში. „რუსთაველის სახლი", „შოთას სახლი" — ასე ეძახიან ასპინძელები რუსთაველის სახალხო მუზეუმს და ცდას არ აკლებენ, რომ ფალკატად აქციონ მისი შემოგარენი.

ასპინძის რაიონში ჩამოსახლებული აჭარლები სიხარულით და აღფრთოვანებით ამბობენ — კარგ ფეზზე მოვედით, ჩვენთან ერთად რუსთაველიც დასახლდაო ასპინძაში... დიდი შოთას მუზეუმის დაარსება ასპინძაში ახარებს ყველას, ძირძველ მესხსა თუ აქ დამკვიდრებულ სხვა კუთხის შვილებს, მაგრამ ყველა მათგანს პატარა საფიქრალი აქვს — ვაითუ, შოთას სახლში მოსულ სტუმრებს მოეწონოთ „ვეფხისტყაოსნის" ქართული გამოცემები, მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენ ამდენი მეგობარი და ქართველოლოგი გვყავს მსოფლიოში. ასპინძელებს სტუმრებისათვის ჩუქების კი არა, თვითონ ყიდვის საშუალებაც კი არა აქვთ.

ინნენ ღირდეს ამ საქმით დაინტერესდნენ საქართველოს მწერალთა კავშირი, გამსახლმი, რუსთაველის საზოგადოების რესპუბლიკური პრეზიდიუმი და სხვანი, რომ შოთა რუსთაველის სახლში მოსულ სტუმარს, თუ ვერ დასახუჭერებენ, „ვეფხისტყაოსნის" ყიდვა მაინც შეეძლოს.

ელგუჯა კოპაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დაიწყო საბჭოთა ჯარების გამოყვანა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან

მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებში იწყება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან საბჭოთა ჯარების ადრე გამოცხადებული კონტინგენტის გაყვანა. 15 მაისს საბჭოთა კავშირში ერდენეტისა და ჩოირის (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა) სადგურებიდან გაიგზავნება სატანკო დივიზიისა და საზენიტო-სარაკეტო ჯარების პირველი ქვეგანაყოფები.

სულ 1989-1990 წლებში მონღოლეთიდან, სადაც გამოსაყვანი ჯარების შემადგენლობაშია 50 ათასზე მეტი კაცი, სსრ კავშირის ტერიტორიაზე დაბრუნებული იქნება 850 ტანკი, დაახლოებით 1100 ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 820-ზე მეტი სხვადასხვა საარტილერიო სისტემა, დაახლოებით 190 თვითმფრინავი და 130 ვერტმფრინავი. (საქინფორმი).

დაზარალებულთა დახმარების ფონდებში

გაიგზავნა საბჭოთა მშვიდობის ფონდის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. იგი გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა, სსრ კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ზურაბ წერეთელმა.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს მხეცური სასასტიკე, რომელიც გამოიჩინეს 9 აპრილს მთავრობის სახლთან მშვიდობიანი დემონსტრაციის გარეკვისას, და მოითხოვეს პასუხისგებაში მისცენ სისხლიანი ბოროტმოქმედების ორგანიზატორები.

მშვიდობის ფონდის რესპუბლიკურმა განყოფილებამ გადაწყვიტა ათასი მანეთი გადარიცხოს 9 აპრილს დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახების დახმარების ფონდში.

სხდომამ გადაწყვიტა ავრეთვე ხუთი ათასი მანეთი გადარიცხოს მთიან აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში. (საქინფორმი).

გრიგოლ ქადაგიძე

ერეოვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ და ხალხგადამებამ მძიმე დანაკლისი განიცადეს — გარდაიცვალა ტრანსპორტის მუშაობის გამოჩენილი ორგანიზატორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გრიგოლ ილიას ძე ქადაგიძე.

გ. ქადაგიძე დაიბადა 1910 წელს ზესტაფონში. 1934 წელს, ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა მოსკოვ-კურსკის რკინიგზაზე, სადაც მუშაობა დაიწყო კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელად, შემდეგ კი გზის უფროსის მოადგილე გახდა.

1941 წლის აგვისტოდან იგი მოსკოვის რკინიგზის კვანძის სამმართველოს უფროსია, შემდეგ კი ამ კვანძის სამხედრო-საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსი. 1942-1944 წლებში გ. ქადაგიძე მუშაობს მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის უფროსის მოადგილედ, შემდეგ უფროსად; 1946-1950 წლებში რკინიგზების ცენტრალური ოლქის უფროსის მოადგილეა, შემდგომ წლებში კი მოსკოვ-კურსკ-დონბასის გზის უფროსი.

1954 წელს გ. ი. ქადაგიძე ბრუნდება საქართველოში და სათავეში უდგება ამიერკავკასიის რკინიგზას.

1956-1961 წლებში გ. ი. ქადაგიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია. 1961-1978 წლებში, პენსიაზე გასვლამდე, კვლავ ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის რკინიგზას.

ნიჭიერმა ორგანიზატორმა, უნარიანმა, დიდად ერუდირებულმა სპეციალისტმა გ. ი. ქადაგიძემ მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა სამშობლოს სამსახურს, თავის ხალხს. დიდი წვლილი შეიტანა მან ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში, ძალა და ენერგია არ დაუშურებია მაგისტრალების ელექტრიფიკაციის, რკინიგზელთა კადრების მომზადების ამოცანების გადაწყვეტისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

გ. ი. ქადაგიძე არჩეული იყო სსრ კავშირის რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მერვე მოწვევის პერიოდში იყო ეროვნებათა საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

გ. ი. ქადაგიძე არჩეული იყო სკკპ XXI-XXV ყრილობების დელეგატად, საქართველოს კომპარტიის XVII-XXV ყრილობების დელეგატად.

1958 წელს გ. ი. ქადაგიძე აირჩიეს მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად, 1954 წელს — ( ) სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის წევრად. 1956-1961 წლებში იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო.

სამშობლომ დიდად დააფასა გ. ი. ქადაგიძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, I ხარისხის სამამულო ომის ორდენებით.

გრიგოლ ქადაგიძის — კომუნისტის, პატრიოტის, გულისხმიერი ადამიანის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება იმათ ხსოვნასა და გულში, ვინც მას იცნობდა.

გ. გ. გუმბარიძე, ბ. ა. ანჩაბაძე, ბ. დ. მახარაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. ა. ჭითანავა, ვ. ი. ვადაჭკორია, ე. ე. კაკაბა, ვ. ი. ბაციკაძე, ბ. ვ. ბერიძე, დ. დ. ბერიძე, ვ. ბ. ბლაჟოვსკი, რ. ლ. გუგიანიშვილი, დ. ს. ზამბახიძე, შ. დ. კიკნაძე, ს. ვ. კოსტრიძე, ი. ბ. მელქაძე, გ. ნ. ცქვიტინიძე.

უკსოვეთში საკრძესი იუწყება 13 მაისი

აქტუალური ინტერვიუ

დროით ნაკარნახევი შერიგება

ამერიკელი პოლიტოლოგი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის მომავალი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართო ინტერესს იწვევს მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აქვეყნებენ მრავალრიცხოვან კომენტარს, ინტერვიუს, პოლიტიკოსთა თვალსაზრისსა და პროგნოზს. ვიზიტის წინ იაპონიის კიოდო ცუსინის საგენტომ გამოაქვეყნა ვაშინგტონის „ჰერიტეჯ ფაუნდეიშენთან" არსებული აზიის საკითხთა კვლევითი ცენტრის დირექტორის როჯერ ბრუქსის ინტერვიუ. როგორც ცნობილია, „ჰერიტეჯი" ითვლება კონსერვატორთა „ტვინის ტრესტად", რომელმაც, როგორც ვარაუდობენ, საგრძნობი გავლენა მოახდინა რ. რეიგანის ადმინისტრაციის საქმიანობაზე. ქვემოთ გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

კითხვა: როგორ აფასებთ ზოგადად ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შერიგებისათვის გამოზნული მოქმედებას?

პასუხი: თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჩინეთის კოზირს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყენებდა, და, პირიქით, საბჭოთა კოზირს ჩინეთის წინააღმდეგ. მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებაა. ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობას სიმწიფის ხანა უდგას და ამდენად ამერიკის მხარეს შეშფოთების არავითარი საფუძველი არა აქვს. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოება სასურველია აზიაში, აგრეთვე მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ორივე მხარემ უნდა იგრძნოს, რომ თუ მათი დაახლოება გარკვეულ ზღვარს გადასცილდა, ეს პრობლემას შეუქმნის როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე მთელ აზიურ რეგიონს.

კითხვა: რას გულისხმობთ გარკვეულ ზღვარში?

პასუხი: წარმოიშვება მეტად სერიოზული პრობლემა, თუ ეს დაახლოება გამოიწვევს ზემოაღნიშნულ ორ ქვეყანას შორის ახალი სტრატეგიული ურთიერთობის დამყარებას. მხედველობაში მაქვს სამხედრო კონტაქტების დამყარება, მათ შორის ერთობლივი სამხედრო წვრთნა, მაგრამ ასეთი საფრთხე, ჩემი აზრით, არ არსებობს. ამ ეტაპზე ასეთი ურთიერთობის დამყარება არც ერთი მხარისათვის არ არის სასარგებლო. ეს განსაკუთრებით ხელს არ აძლევს ჩინეთს. ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობა იმდენად კეთილსურვილ მდგომარეობაშია, რომ შეუძლებელია ჩინეთი ამ სახიფათო გზას დაადგეს.

კითხვა: თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა შეიცვალოს ჩინეთის პოზიცია შეერთებული შტატების მიმართ?

პასუხი: უმაღლეს დონეზე ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შემდეგ, ჩემი აზრით, ჩინეთი, პირიქით, შეეცდება შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის შენარჩუნებასა და სტაბილიზაციას და ამ მიზნით მთელ რიგ ღონისძიებებს განახორციელებს. ჩინეთი, როგორც ჩანს, ხელს შეუწყობს იმას, რომ ნაბიჯები გადიოდეს აზიაშიც გადაიდგას, ჩინეთი ყველა ღონეს იხმარს, რათა აღმოფხვრას შეშფოთება, რომელსაც შეეფიფეული შტატები განიცდის საბჭოთა კავშირის სტრატეგიის გამო. თვით ჩინეთისათვის მნიშვნელოვანია ვიეტნამ-კამბუჯის პრობლემა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიმეორებენ, რომ ჩინეთი შეეცდება ზემოქმედება მოახდინოს სსრ კავშირზე ჩრდილოეთის ტერიტორიების საკითხში, რომელსაც იაპონია აყენებს.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ შეიძლება მოხდეს ცვლილებები ჩრდილოეთის ტერიტორიების პრობლემაში?

პასუხი: უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი, ჩემი აზრით, გაცილებით მეტ ყურადღებას დაუთმობს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ აზიას. საბჭოთა ხელმძღვანელი აქტიურად აყენებს გასაოცარ წინადადებებს, და არის იმის შესაძლებლობა, რომ იგი წავიდეს კომპრომისზე, დათანხმდეს მოლაპარაკების გამართვას ჩრდილოეთის ტერიტორიების პრობლემაზე. მაგრამ საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირისათვის, რომლის წინამეცდგას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხები, ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის პრობლემები, აგრეთვე საქართველოს საკითხი, ძალზე ძნელი იქნება კომპრომისი ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტის საკითხში. მაგრამ ამასთან არის გარემოებანი, რომლებიც აიძულებენ მას გამოიყენოს იაპონიის პოტენციალი ციმბირის ასათვისებლად. ჩინეთი, ალბათ, შეძლებს პირდაპირ, ან არაპირდაპირ ზემოქმედებას სსრ კავშირზე ამ საკითხში.

კითხვა: როგორია, თქვენი აზრით, მოტივები, რომლებმაც განაპირობეს საბჭოთა კავშირის შერიგება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან?

პასუხი. მ. ს. გორბაჩოვის მოქმედება მთლიანად აზიის მიმართ განაპირობა იმან, რომ საბჭოთა კავშირმა ობიექტურად შეიფასა თავისი ჩამორჩენა ეკონომიკის სფეროში. იგი ცდილობს აღმოფ

პატივცემულო მოსამართლენო, პატივცემულო დამსწრე საზოგადოებრიობავ! მე თავს დამნაშავედ როგორ არა ვგრძნობ. დამხაძავე ვაარ, მა რა ვიქნები — დღიაით მზისით კაცს სახლში ბივუვარდი და ვცემ. დაბზარალებული იულონ ხეჩუაშვილი დროული ადამიანია და მე, რასაკვირველია, მმართებდა უფროსია პატივისცემა. ეგეც არ იყოს, თანამდებობის პირია. თანამდებობის პირის ცემა, თურმე, უფრო დიდ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ჩეხოაირი უბრალო კაცისა, მაგრამ მე ხომ მას კაბინეტში არ მივვარდნივარ, სახლში, საკუთარ ოჯახში ვცემე. საძრახისი საქციელია და ვგმობ ჩემს დანაშაულს. მაგრამა, ეოთი უნდა ვთქვა და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა მეთქი, იმატომ ვამბობ, რომ სუ ერთია, ძაინც არ დაიჯერებთ. ხოლო თუ სასწაული მოხდა და დაიჯერეთ, ჩემთვის დიდი შეღავათი ვერ იქნება. პროკურორის მოთხოვნილ ორ წელიწადს ისიც მივლეტ და ასეცა.

გითხრათ სიმართლეი?! მაშ ყური დამიგდეთ: ტყუილია იულონ ხეჩუაშვილია გახცხადეაა იძაბედ, თითქოს მე, ძავლეგ პავლიაძვილმა, ვცემე იმატომა, როძა ჩემი უკახოიოდ მოხსნილი ძმია სამსახურში აღდგენაზედ უარი მითხრა. ასევე სიცრუეა რემი ჩვენება იმაზედ, რომა, თითქოს ძე მთვრალი შინ ვეახელ იულოხს, მახ კი შეუოაცაყოფა ითმაყენა. გაძასპიხლეაია საცვლად შემაგინა. მე კიდე ვერ ძოვითმიხე და ფეხქვეშ ძოვიგდე.

ეგ ყველაფერი იყო, განა არ იყო. მოგეხსენებათ, ეგ ხეჩუაშვილი ქალაქში დიდი კაცია. მექანიზატორთა კადრებიც მაგაი აარრა. ახლა ჩემი ძმაც აქა ცხოვრობს. აგე, მეორე რიგში ხის. მართლაც უბრალოდ ხოუხსნიათ და ძე გვიახ გავიგე. ხთვრალი რომ ვეახელ იულოხს, ეგეც მართალია. ძმა უკან დაბრუნებინე მეთქი, რომ ვთხოვე, ეგეც ძართალია. როგორ გაბედე ხთვრალმა აქ მოსვლაო, თვალები რომ ჭალის გომბეშოსავით გადმომიკარკლა, ეგეც მართალია. კარებისკენ რომ მიბიძგა და ხგონი დედაც ძაგინა, ეგეც მახსომს. მაძ ტყუილი რა არის? ტყუილი ის არი, რომ იმ საღამოს ჩემს დათრობასაც, ხეჩუაშვილთან მისვლასაც და მის გალახვასაც სხვა მიზეზი ჰქონდა. აი, სწორედ ეე სხვა მიზეზზედ მინდა გაიძპოთ.

მე და ხეჩუაშვილი (და რასაკვირველია ჩემი ძმაცა) ერთი სოფლიდანა ვართ. ჩვეხი სოფელი ჩქეოის ხეოპაშია. ჩქერი იქეხეს, ყველამ არც იცოდეს. ბროლის ძთიდან გაძოდია და სადღაც, ქვეძოთ, უერთდეკა ალაზანასა. სოფელს ძვინდიანი ჰქვიან. ადრე ჯატარა სოფელი იყო, ახლა, გაგიკვირდებათ, კარგა მოზრდილი სოფელია, მაგრამ რად გინდა, ჩვეხთვინ აღარ არი. ჩვეხი მხოლოდ სახელი შერჩა და ერთი დაბგრეული საყდარი — სოფლის სასაფლაოზედ ოპლად მდგარი.

მე მაინც არსად მეჩქარება, ორი წელი აქ უნდა ვიყო, აძიტომაც ხვრილად ვიტყვი, თუ არ გეწყინებათ, ჩემს სათქმელსა. თქვენ კიდე, პატივცემულო მოსაჯართლეხო, გაიაარჯეთ და მამისმინეთ. ახლა გაიგებთ, სადაც არი ძაღლია თავი დამარხული. ისედაც, კაცურად ხომ გაიხტერესებთ, მართლა ეგეთი გიკია თუ აოა შავლეგ პავლიაშვილი, ამ დარბაისელს კაცს უდროო დროა შინა ბთვრალი სხვეოდა და არც ისე სუბუქად ეცემნა.

ხეჩუაშვილი დიდხანს ჩვენი სოფლის — შვინდიანის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე იყო. მე კარგად არც კი ვიცი, ან ახლა რა არი სოფლსაბჭოს თავმჯდომარის საქმეი. ჯეელოპა ისე გავატარე, რაძდეაჯერეაც ჩავიელიდი, კარი მოლიავეპული ჰქონდა და სულ იჯდა თავის კაბინეტში ჭოტივითა.

ეს ამბავი შვიდი წლის წინათ მოხდა. სკოლა სწორედ ინ წელს დავამთავრე. მაისი იყო. ჩვენში, გლეხურად ვარდოპისთვეს ეძახიან. კულტურულად კი მაისი ჰქვიან. ვარდოპისთვე, მამა-პაპური სახელი, რითია ცუდი, რა მოგახსენოთ.

პაპაჩემმა, მაშინ ცოცხალი იყო, ესტატე პავლიაშვილმა მზი სხივი შამაადგო ჩვენს საწოლ ოთახში და მამაჩემს წარბშეკვრით უთხრა:

— ადე, კაცო, ადე. რამე ვისაშველოთ, სხულთები მოსულანო.

წამოვსტეთ და ყველანი იქით გავიქეცით, საითკენაც მეზობლები გარბოდნენ.

დიდმუხასთან ლამის მთელი სოფელი შეკრებილიყო და გაღმა, კლდის ძირში მორებისაგან შეკრულ, ისლით დახურულ ქოხს შესაცქეროდა.

— ნამდვილად სხულთები არიან!

— გუშინ საღამოი ამაკვიარე, არ იყვნენ. ნამდვილად შუაღამისას არიან ჩამოსულნი!

— ან სახლი გამართვა როდის მაასწრეს, ეგრე ჩქარა.

— მაასწრებდნენ, მარჯვე ხალხია!

ისმოდა ხმები.

ამასობაში იულონიც მოვიდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კაშია თბილისს, ორთვიან გადასამზადებელ კურსებზე გახლდათ წასული.

ხეჩუაშვილმა, კარგად მახსომს, იმ პირველ მისვლაზე თან არავინ გიიყოლა. მარტომ შეაგდო ცხენი მდინარეში. თქვენაო, გაცხარებული ხართ და შეიძლება ავი მუსაიფი გაუბათო. მე მარტო წავალ. მთავრობა ვარ. გავიგებ ვინ არიან, რა უნდათ. მე ვეტყვი, რაც საჭიროაო.

სხულთებმა ერთი კი გამოხედეს მათკენ ცხენით მიმავალ ხეჩუაშვილს და, თითქოს აქ არაფერრო, თავიანთი საქმე განაგრძეს. სამიოდე კაცი იყო, შვიდოდე ბავშვი და ქალებიც ტრიალებდნენ. გეგონებოდათ, ახალი ჩამოსულნი კი არ, თავი დღეწუთისოფელი აქ გაუტარებიათო. კაცები სახლს ცულ-ჩაქუჩს უკაკუნებდნენ, ბალღები ცხენებს სამუნელითა სწმენდდნენ, ქალებს მოლზე მატყლი გაეშალათ და თავიანთ ქალურ საქმეს შედგომოდნენ. იქვე ოთხიოდე ძროხა სძოვდა და თხუთმეტამდე, მეტი არც იქნებოდა, ცხვარი ბეჭფეეოდა თხმელიანს.

სხულთები ჩვეხს სოფელს გადაღცა, კაკასიონის იქეთა მხარეს ცხოვრობდნენ. და ალბათ ამიტოძ იქნებ რაიონის ცენტრშიც და ჩვეხს სოფელშიც ხძირად მენახა ისინი. ბეიძლება ბევრჯა არც იცოდეს სხულთების არსებობა. ცხვრის ტყავებსა, კარაქს სადღვებსა, ლაგამ-უნაგირსა, ნალებსა და აბეეებს ჰყიდდნენ. ცხეხებით გადძოდიოდნენ ხეძოდახა, მახსომს, ჩვეხს სოფელს რომ ჩამაივლიდეს, ძალლები დაეპეოდნენ. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ნაცხობობა და ძმაფიცობა ჰქონიყოთ ჩვენს სოფელთანა. ბავშვობიდანვე ეგრე ვიცოდი, ჩვენ სხვანი ვიყავით, სხულთები სხვანი.

ცხენი, ლამის მატყლზედ რო შეაგდო, იკადრეს სტუმრებმა და შემოეხვიეს ხეჩუაშვილს. გალმა ნაპირიდან ეგრე ჩანდა: ყველანი, ქალიც, კაციც და ბალღებიც ერთად უტკიცეებდნენ რაღაცას. ვინც რამეს ამბობდა, ორივე ხელს წინ იშვერდა. ვინც ჩუმად იყო, დოინჯშემორტყმული, დარანეული ითმენდა, რათა სიტყვის თონე არ გაეცივებინა და თავისიც დროულად ჩაეკრა.

ცოტა ხანში იულონი ჩამაქვეიოდა და ყველანი ქოხში შეიძალნენ. ძალე ქალები და ბავშვები უკანვე გაძოვიდნენ და კაცები დარჩნენ. რა ვი, რა ითქმაიფეს სოფლი მთავრობამა და ან ტოლვილებმა მაძინ. ერთიც ვნახოთ ფაფახიანმა სხულთებმა ხეჩუაშვილი ტკბილად გამაიცილეს. ერთმა უბანგიც კი დაუჭირა, სუბუქად რომ შემხტარიყო თავის ბედაურზედ ე ჩვენი ეხლანდელი დაზარალებული.

— ვერ არი, ბიჭებო, კარგად ჩვენი საქმეი, — ჩაილაპარაკა ძაძინ პაპაჩემმა გარიხდებული სოფლის გასაგონად, მაგრამ არავინ გაეპასუხა.

გამოადგაფუნა ხეჩუაშვილმა ჩქერში ცხენი. მკერდდასველებული და ლაშებაქაფული ამოაგდო ალმართზედ, მუხასთან ჩამოხტა, ვიღაცას სადავე მიუგდო და კუნძზე შემაღლდა.

— მაგათ თქვენი არა უნდათ რაო. გაღმა სხულთიდან არიან, ერთი ოჯახია. გუშინ ღილით სახლი მეწყერს ნაურთმევია. ერთი ბებერი სხულთიც ჩაუტანია. იგრე არიან სანყლები, რო დანა პირს არ უხსნით. შემოდგომამდე შაგვიფარეთო. ცოტაო, იმ ელდისაგანაო, აზრზედ მოვიდეთო, შემოდგომაზედ, ეგრე გიორგობისთვის დასაწყისშია, ავიკრიფებით და წავალთ ჩვენს გზაზედაო.

ამას რომ ამბობდა, იულონს მათრახი ტყავდაჭერილად მარცხენაში ეჭირა, მარჯვენას დროდადრო ნიკაპზე ჩამოისვამდა.

— იქნებ სტყუიან?

— არა, შვილოსა, ეგენი დამეწყრილებს არა ჰგვანან, ნახე ცხვარ-ძროხითა და ბალღებით, მატყლ-საჩეჩლით არიან ჩამოსულნი, — ესეც პაპაჩემის ხმა იყო და სწორედ პაპაჩემი შეანამუსა სხვების გასაგონად სოფლის თავმა.

— შენაო, რა ბევრს ლაპარაკობ, ესტატეო. როდის აქეთაა შვინდიანმა სტუმრი ყადრი და გაჭირვებულის პატრონობა დაივიწყაო. შე კაი კაცო, გადამთიელები კი არ არიან, ეგენიც ჩვენი საბჭოთა ხალხია: ბოლოსდაბოლოს თუკი ამირჩიეთ სოფლსაბჭოი თავმჯდომარედა, დამიჯეროთ უნდა კიდეცა, ხომ იცით, მე რომ თქვენს საზიანოდ არასა ვიქმო.

— ახლა ძალიან ნუ გააბი ოროტოტოსავითაო, — მაგრად დახვდა პაპაჩემიც, — შენ ნუ მასწავლი სხულთებსაო. ამ ჩქერის ჭალას ჩვენი მამა-პაპაც ეგრე დარაჯობდა. განა პირველია სხულთების ჩამოსხდომა აქაო.

მოგეხსენებათ, სოფელი ჭრელია. გაიმართა ყაყანი: ბევრი პაპაჩემის მხარეს იყო და, ახლავე ავყაროთო, მოითხოვდა, ცოტა იულონ ხეჩუაშვილს უბამდა მხარსა. ბოლოო, როგორც ხდება, ძალამ თავისი გაიტანა; ბიან, ისე მრავლდებოდა მათი სახლები. დილით გაიღვიძებდი და აგერ, თვალწინ წამოჭიმული სხულთური ოდა, თითქოსდა, ცხვირთან მუშტს გიღერებდა.

დავიწყეთ წერა-ჩვიენი: ასე და ასე დაგვემართა, გვიშველეთ, გვიპატრონეთ. ძროხა ვერსად გვიბალახნია, ჭალა ჩვენი აღარ არი და მთაი. მუმლივით მოგვედვნენ და ლამისაა შაგვჭამონ სხულთებმაო. მაგრამ ვის დაეკარგე, ყურადღება ვინ მოგაქცია. ჩვენი ყველა კოლექტიური განცხადება იმით მთავრდებოდა, რომ ანანია ან რაიპროპაგანდის გამგეი ამოვიდოდნენ, სასწრაფოდ სოფლის კრებას მაიწვევდნენ და ჩაგვჩიჩინებდნენ. „შვინდიანი ინტერნაციონალური სოფელია“ და მაგალითი უნდა მისცეთ მთელს რაიონსაო. არ დავინახოთ სხულთებს აწყენინოთ და ურთიერთობაი გაამწვავოთ ჩვენს ძმებთანა, თორო ხალხთა ძმობის ჩამშლელები სამაგალითოდ დაისჯებიანო“.

შარშანწინ იყო სწორედ, შობის წინა დღეებში სამი ღორი რომ მუცელდაფატრული გადმოგვიდეს სანეხვეზე სხულთებმა. მოვილაპარაკეთ სოფლის ჯეელმა ბიჭებმა ასე, ორმოცამდე შევიკრიბეთ (ბევრი არ წამოვიდა), ჩავუტარეთ სხულთებს, ვითომ ჭკუა უნდა გვესწავლებინა.

თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ ჩვენი არ შეშინებიათ. ისე ვაჟკაცურად და მძიმედ დაგვხვდნენ, რომ შეგვეხარბა კიდეცა. ხელი არ გაატოკოთ თქვენი სიცოცხლის მზემა, თორემ ინანებთო. ჩხუბი მორევაზეაო. ხომ კარგად ხედავთ, ჩვენ მეტნიცა ვართ და არც იგრე ჯაბანნი ვართ, ქალების კალთას ამოვეფაროთო. ჩვენ არას გერჩით, ჩვენი გამრავლებაი ეკლად ნუ გესობათ, თქვენც იყოლიეთ შვილები, ვინ დაგიშალათო. რაც შეეხება ამ მიწაზე შენ-ჩემობანას, კეთილი ინებეთ და დაიჯერეთ: ჩვენი მამა-პაპა ადრიდანვე აქედან აყრილა და ზემოთკე ასახლებულა. ასე რომ, კაცმა არ იცის, ვის ეკუთვნის შვინდიანიო.

ჩხუბამდე საქმე არ მისულა. ვიკამათეთ, ვიყაყანეთ. მაშ, ე მეთერთმეტე საუკუნის ქართული საყდარი არაფერს გეუბნებათ მეთქი? მაშ სოფელი შვინდიანი ქართული სიტყვა არა ყოფილა მეთქი. სინდისიც კარგი საქონელია, ხომ არ უნდა შეგვჭამოთ მეთქი. ნუთუ არ გახსოვთყე, განა დიდი დროა, რაც პირველი დამეწყრილი სხულთი შევიფარეთ მეთქი.

გაჩუმდნენ, განა არ გაჩუმდნენ. ზოგ-ზოგმა თავიც კი ჩაჰქინდრა, მაგრამ რად გინდა. ჩვენ ჩვენი ხელკეტებისა და შეკრული მუშტებისა თვითონვე შეგვრცხვა, მოვტრიალდით და ჩქერი უკანვე გამოვტოპეთ. არ შეუძლიან ქართველ კაცსა, ვერ გამართავს თავპირლეწვობანსა, არ უნერია რჯულში და მოკალი, თუ გინდა.

ახლა ჩემს სოფელ შვინდიანში ჩვენ, ძირითად მოსახლეობას რომ ეკუყვიან, ოცდასამი კომლილა დავრჩით. ვერ შავეწყვეთ სხულთებსაო და დაიცალა სოფელი. ზოგმა ქალაქს მააშორა, ზოგმა კიდე სხვა სოფელში იმოვა სამოსახლოი და თავს უშველა.

სოფელს კი ძველებურად შვინდიანი ჰქვიან. სხულთების სოფელსაც ეძახიან ზოგნი. შვიდ ნელილნადში დამთავრდა შვინდიანის ისტორია. განა სამართალია, რო პასუხს არავისა სთხოვენ? თუმცა ვის უნდა მოსთხოვონ; აღარც ამხანაგი ანანიაა ძველ ადგილზე, კაშიამ თქვენი ჭირი წაიღო, ხოლო ხეჩუაშვილი კიდე აქა ზის, აგე. თქვენს წინა და ვინ იცის, ამ ჩემს ლაპარაკზედ გული ეცინება კიდეცა.

რას ვერჩოდი იულონ ხეჩუაშვილსა? რას ვემართლებოდი? ჩვენი დოყლაპიობისთვინ ამ დროული კაცის ცემა რა ანგარიში იყო. მაგრამა ბარემ გეტყვით: იმ დღეს პაპაჩემი გამახსენდა. პაპაჩემი რო გამახსენდა, მისი ნათქვამიც გამახსენდა. იმ დღეს, ბერმუხასთან — ნუ გააბი ოროტოტოსავით, შენ ნუ მასწავლი სხულთებსაო, განა მართალი არა ყოფილა ის სულკეთრთხეული? პაპაჩემი რო მოაგონდა, რასაკვირველია, იულონ ხეჩუაშვილის დაჯერებული ფიციც ჩამესახა: დამეწყრილები არიან და შამოდგომამდე შავიფაროთო. ეგეი შენი შემოდგომაც.

ჰოდა, ეგ ყველაფერი რაკი გამახსენდა, იმ საღამოს რომ არ დამელია, გული გამისცდებოდა. დავლიე და მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



დარიალის ხეობა. თენგიზ ფურცხვანიძის ფოტო.

კონტაქტები, თანამშრომლობა

საქართველო-გუანდუნის პროვინცია: უშუალო კავშირურთიერთობა

ფართოდება საქართველოს სს რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუანდუნის პროვინციის საქმიანი კონტაქტები. მარშან, დელეგაციებს გაცვლის შემდეგ, ხელი მოაწერეს ოქმს სამეცნიერო და საწარმოო ორგანიზაციების თანამშრომლობის შესახებ.

სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე მდებარე გუანდუნის პროვინცია ჩინეთის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რეგიონია. აქ ტრადიციულ სოფლის მეურნეობასთან, მსუბუქ მრეწველობასა და მაღალი ხარისხის კერამიკის წარმოებასთან ერთად ბოლო წლებში სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტრონიკა, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა, საშენი მასალებისა და კვების პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული დარგები.

ქართველი და ჩინელი სპეციალისტები დაინტერესებული არიან იმით, რომ ითანამშრომლონ ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, ციტრუსების მოგლა-შენახვისა და გადამუშავების, ტყეების ბიოლოგიური დაცვის, ბიოტექნოლოგიის, საინფორმაციო სისტემების, ახალი კომპოზიციური მასალების შექმნის დარგში.

გთვალისწინებულია მოგვარდეს სწავლულებისა და სპეციალისტების, დელეგაციების, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა, მოეწყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოფენები, გაიმართოს ერთობლივი კვლევა-დამუშავება, სამეცნიერო-ტექნიკური სიმპოზიუმები და კონფერენციები.

ამას წინათ საქართველოს მეგობრობის, მეგვნახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეწვივნენ ჩინელი კოლეგები. უფრო ადრე კი ქართველ მეცნიერთა დელეგაცია ვიზიტად იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

როგორც საინფორმაციო „ესწრებოდა სსრ კავშირის გენერალური კონსული ვიქტორ იგოროვი, ბომბეის ქალაქის მმართველობისა და ფირმების ხელმძღვანელები.

ინდოეთის პრესამ და ტელევიზიამ ფართოდ გააშუქეს ეს ფაქტი. უჩვენეს ვიდეოფილმები არქიტექტურულ-სამშენებლო და საწარმოო გაერთიანების ნამუშევრების შესახებ.

სოსო მოლაღურიძე.

ერთობლივი საწარმო

ოქრიოდე დღის წინათ დელიში ხელი მოაწერეს ინდოეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმოს — „დოსტის“ შექმნის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების გასაფორმებლად ინდოეთში, ფირმა „სეიკ ინტერნეიშნლის“ მიწვევით, იმყოფებოდა საქართველოს ალკოკენტრალური კომიტეტთან არსებული არქიტექტურულ-სამშენებლო და საწარმოო გაერთიანების დელეგაცია, გაერთიანების შემქმედებითი ხელმძღვანელის გიორგი ტყეშელაძის, მთავარი დიზაინერის დიმიტრი მანჯგალაძისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბორის ზნამენსკის შემადგენლობით.

შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა. დაიდო ინდოეთისა და საქართველოს ერთობლივი საწარმოების შექმნის ხელშეკრულება. კონკრეტულად რა საქონელს გამოუშვებს „დოსტი“, ეს ინდოელების თბილისში მომავალი სტუმრობისას დაზუსტდება. ახლა კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ფირმა აპირებს ტანსაცმლისა და სხვა ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას, ინდური და ქართული ხალხური რეწვის საგნების დამზადებას. ხელშეკრულებაში ლაპარაკია ურთიერთსასარგებლო რეკლამის შესახებაც.

„დოსტის“ ქართველმა და ინდოელმა პარტნიორებმა მოილაპარაკეს, რომ დელსა და ბომბეიში ახლო მომავალში მოაწყონ ქართული ეროვნული კულტურის ფესტივალი.

ბომბეიში გამართულ პრესკონფერენციაზე მახარაშტრას შტატის მრეწველობის მინისტრმა რამ რაომ განაცხადა, რომ ერთობრივი საწარმო ხელს შეუწყობს საქართველოსა და ინდოეთის კულტურული თანამშრომლობის ძველი ტრადიციის აღორძინებას, თავის წვლილს შეიტანს ინდოეთსა და საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

პრესკონფერენციას ესწრებოდა სსრ კავშირის გენერალური კონსული ვიქტორ იგოროვი, ბომბეის ქალაქის მმართველობისა და ფირმების ხელმძღვანელები.

ინდოეთის პრესამ და ტელევიზიამ ფართოდ გააშუქეს ეს ფაქტი. უჩვენეს ვიდეოფილმები არქიტექტურულ-სამშენებლო და საწარმოო გაერთიანების ნამუშევრების შესახებ.

სპორტის ამბები

ძიუდო

ევროპის პირველობაზე

ელსინკში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. შეჯიბრების მეორე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ 60, 65 და 71 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეები, აბსოლუტურ პირველობაში მონაწილენი. წარმატებით ასპარეზობს ქართველი ძიუდოისტი, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ), მან ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და გახანგრძლივ მედლისათვის ბრძოლას. სამი შერკინება მოიგო აგრეთვე მიხუსინსკელმა სერგი კოსმინინმა (65 კგ). პირველ წრეში გორელმა გიორგი თენაძემ (71 კგ) დაამარცხა ინგლისელი სტივენ რავენსკროფტი, მაგრამ შემდეგ დამარცხდა ოლიმპიური ჩემპიონთან, ფრანგ მარკ ალექსანდერთან. საბჭოთა ნაკრების დებიუტანტს, სერგი კოსოროტოვს (ამსოლუტური კატეგორია) პირველივე წრეში მოეცარა ხელი — დამარცხდა ბელგიელ ჰარი ვან ბარნეველდთან.

ქალთა ტურნირში წაუგებლად ასპარეზობს ლენინგრადელი ელენე გუშინა.

სალტურნირო ორბიტა

● **ველოსპორტი.** მშვიდობის ველოსრბოლის მეხუთე ეტაპი ცნობილი გერმანელი სპორტსმენის უფე რაბის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზე გავიდა ოლაფ ლუდვიგი (გდრ), მეხამეზე — პოლონელი ზბიგნევ ოპრუხი.

ხუთი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს ბულგარელი პავლე შუმანოვი (18 საათი, 30 წუთი და 38 წამი). ტაშკენტელი ჯამალიდინ ამდუჯაფაროვი მეშვიდე ადგილზეა და ლიდერს 28 წამით ჩამორჩება. გუნდურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ბულგარელი სპორტსმენები. შემდეგ მოდიან გფრ-სა და ბელგიის ველოსიპედისტები. საბჭოთა ნაკრები მეხუთე ადგილზეა.

● **ბადრაკი.** ახზე მეტი საერთაშორისო დიდოსტატი და 50-მდე ოსტატი მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში, რომელიც მოსკოვში 15 მაისს დაიწყება. შეჯიბრებაში ჩაებმებიან ს. გრიგორიჩი (იუგოსლავია), ე. მაილსი (აშშ), ლ. პრინსი (ბოლანდია), ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია), ხ. ოლაფსონი (ისლანდია), ს. კინდერმანი (გფრ) და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები. ტურნირში გამოვა აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.

მუსიკა — მუშვიდობის დესპანი

● **ბონი.** („კომუნისტის“ საკ.-რ.). ფესტივალი „ალმოჩნდა ბონის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა კამერული გუნდისთვის შარშანწინდელი გასტროლები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. მაშინ ქ. დებრეცენში გამართულ ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო კონკურსზე, გორელებმა მოიპოვეს კონკურსის ყველა პრესტიჟული ჯილდო. საუკეთესო დირიჟორის პრიზი ერგო გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, შალვა მოსიძეს, კონკურსის მთავარი პრიზით თავად გოგონათა ანსამბლი დაჯილდოვდა.

ამ დღეებში გორელი მომღერლები კვლავ ეწვევიან უნგრეთს და მონაწილეობა მიიღეს ქ. პეჩში გამართულ სიმღერების საერთაშორისო ფესტივალში — კვლავ წარმატება, ალიარება და ჯილდო.

ანსამბლის წლევანდელი საგასტროლო მოგზაურობა ამით არ მთავრდება, 10 მაისს გოგონათა კამერული გუნდი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა ქ. მარკტრიდვიცის ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო კონკურსზე.

გვირგვინებით შეამკეს

● ამ დღეებში ფოთის მშრომელებმა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა, აჭარაში ტიფიფური უბედურების მსხვერპლთა ხსოვნის ნიშნად გვირგვინებით შეამკეს კოლხი დედისა და შინმოუსვლელთა მემორიალები.

გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის მონაწილეებმა სანაპიროზე საფუძველი ჩაუყარეს ხსოვნის ხეივანს.

ზურაბ აბრალავა,
პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე.

როცა საშუშაო დღე იწურება...

თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მე-6 კორპუსში ერთ მერქვეშ, კეთილმოწყობილ კაბინეტებში თავი მოუყარეს უახლოეს სამედიცინო აპარატურას, სადაც პაციენტებს იღებენ კოპერატივ „მკურნალის“ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: თერაპევტი, ენდოკრინოლოგი, ნეიროპათოლოგი, კარდიოლოგი, ქირურგი, ანგიოლოგი, ოკულისტი, გინეკოლოგი, უროლოგი, რენტგენოლოგი. ისინი მუშაობას იწყებენ ხუთის ნახევრიდან, როცა საწარმო-დაწესებულებებში სამუშაო დღე იწურება და საღამოს 8 საათამდე მომსვლელს დაუბრკოლებლად შეუძლია ექიმთან მისვლა. საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოიწვევენ საჭირო სპეციალისტებს.

აქ ავადმყოფებს შეუძლიათ ჩაიტარონ ენდოსკოპიური, რენტგენოლოგიური, კლინიკური, ბიოქიმიური გამოკვლევები, ყოველგვარი მიმართვის გარეშე. პაციენტი არ ყოვნდება.

მაამართლეს ულანაშაულოგის მამო

თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა სისლნის სამართლის საქმე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტის შოთა სიმონის ძე ჩხეიძის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სისლნის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 190-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქრთამის მიღების ფაქტზე). 1988 წლის 26 დეკემბერს სასამართლომ შ. ჩხეიძე სასჯელით გაამართლა მის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სამსჯავრო გამოძიებით დადგინდა, რომ თავის დროზე შ. ჩხეიძე უსაფუძვლოდ დაიპატიმრეს, მოკვლეულა და წინასწარი გამოძიება წარიმართა საპროცესო ნორმების დარღვევით და არსებითად მცდარი მიმართულებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სასლნის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1989 წლის 22 თებერვლის განჩინებით გამამართლებელი განაჩენი უცვლელად არის დატოვებული და შესულია კანონიერ ძალაში.

გამამართლებელი განაჩენი სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით რედაქციას გამოსაქვეყნებლად გადმოუგზავნა შ. ჩხეიძის საქმის განმხილველმა სასამართლომ.

იმ პირთა პასუხისმგებლობაზე, რომელთაც დაუშვეს შეცდომები თუ დარღვევები, უნდა იმსჯელონ შესაბამისმა უწყებებმა სამსახურებრივი დაქვემდებარების მიხედვით.

ბ. ი. ძალაგიძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 13 მაისს 20 საათზე, განსვენებულის ბინაში (ბარნოვის 109), გამოსვენება — 14 მაისს 16 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — კვირა, 14 მაისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.50 — „ყველა თქვენს კარზე მოსული“. 10.25 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 11.00 — გარდაქმნა წახნაგები, „სამეურნეო მექანიზმი, სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — „კინოფიშა“. 12.00 — „დილის ფოსტა“. მუსიკალური გადაცემა. 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — ახალგაზრდობისათვის — „რაც მამა-პაპას უშენია“. 13.35 — საკვირაო გამოფენა. 13.40 — ქართული კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „საპა“. 14.55 — მულტფილმი. 15.05 — საკვირაო გამოფენა. 15.10 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.40 — „ვესტნიკი“. 16.10 — საკვირაო გამოფენა. 16.15 — რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს. 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.10 — დოკუმენტური ფილმი. 17.40 — ახალგაზრდობისათვის. პირველი სტუდია. პედაგოგები. 18.40 — ძილისპირული. 18.55 — კონცერტი. 19.20 — მომხმარებელთა საზოგადოების ხვალინდელი დღე. 20.00 — მოამბე. 20.35 — საუბარი რეზო ჩხეიძესთან. 21.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარკ ჰეიმი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!“. 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.25 — კონცერტი. საერთაშორისო კონკურსების ქართველი ლაურეატები.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 9.45 — „სპორტლოტო“. 10.00 — „დილაადრიანს!“. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მსოფლიოს გარშემო. 13.30 — სტუმრად ზღაპართან. ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „სამი ოქროს ბეწვი“. 15.05 — მუსიკალური კოსკი. 15.35 — ღია კარის დღე. 16.20 — „თვალსაზრისი“. საკვირაო გამოშვება. 17.15 — მულტფილმი. 17.45 — სილამაზის პირველი საკავშირო კონკურსი. 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ჩინელი ცირკის მსახიობების გამოსვლა. 21.00 — ფეხბურთი. „შახტიორი“ — „სპარტაკი“. მე-2 ტაიმი. 21.45 — უკრავს კულტურის სასახლის სასულე ორკესტრი „პროექტორი“. 22.00 — „ვრემია“: 22.40 — გამარჯობათ, ექიმო! 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.25 — ტელენაცნობობა. არვიდას საბონისი. 0.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მულტფილმი. 9.40 — პროფკავშირების კულტურის სახლის ხალხური ანსამბლის „ლადას“ კონცერტი. 10.10 — მოკავშირე რესპუბლიკების კინოპუბლიცისტიკა. 11.00 — „თუ თქვენ გადასცდით“. 11.35 — დოკუმენტური ფილმები ციკლიდან „ჩვენი სანუხარი დედამიწა“. 12.35 — „მ. 12“. ახალგაზრდული პროგრამა ოჯახის პრობლემებზე. 13.55 — ჰოკეი. შესვენებისას — 14.30 — სპორტი ყველასათვის. 16.30 — ეთერშია მუსიკა. 18.30 — „მშიდტის მუზეუმი“. ტელენარკვევი. 19.